F1294
1921

ხელნაწერის უფლებით.

თავისუფალი საქართველო

№ 13. 30 ნოემბერი, 1921 წელი. № 13.

ამ ნომერში 24 გვერდია.

განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში.

მუშათა მოძრაობა მთავარი ძარღვი იყო თვით-მპყრობელობასთან ბრძოლის. ამან მოშალა მისი ტახტი და ბოლოს დაანგრია იგი.

დღესაც, როცა მუშათა რევოლიუციის წმინდა ტაძარს, წითელ ქურქში გახვეული შავი ძალები დაეპატრონენ, და ქართველ მოღალატეებთან ერთად ხიშტით, ციხით, ტერორით უპირებენ თავისუფალ ქვეყანის დამორჩილებას, ჩაჩუმებას, ჩაკვლას, იგივე მუშათა კლასი ხმას იმაღლებს და მთელი თავისი ენერგიით გამოდის ბრძოლის ველზე მოძალადეთა წინააღმდეგ. ქართველი ერის თავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშა—ძლიერს და საიმედო ხელებს უპირავს.

პირველი ნოემბერი ამის საუკეთესო მაგალითია.

ამ დღეს თფილისის მუშათა კლასმა მთელი ხალხის და კიდევ მეტი, მთელ განათლებულ კაცობრიობის წინაშე საჯაროთ გაიკრა სამარცხვინო ბოძზე საქართველოს ბედის დღევანდელი გამგენი—ყველა ეს კომისრები, ჩეკები და მათი ამყოლ-დამყოლნი!

რა მოხდა?

ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია ვრცელი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გაგზავნეს თფილისის მუშებმა დელეგაცია საქ. რევკომთან რამოდენიმე ათასი მუშის მიერ ხელმოწერილი თავის პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებების წარსადგენათ და როგორ მხდალურათ, ქურდულათ, მოტყუებით, ცბიერობით, აცდევინეს მათ და შემდეგ უეცრათ დააპატიმრეს უკან გამობრუნებულები. როგორ ლაჩრულათ სტყუოდენ შემდეგ კომუნისტები და კომპარტიის ხელმძღვანელები იმავე მუშების წინაშე—არავინ მოსულა და არც არავინ დაგვიტუსაღებიაო.

და აი აქ ამ ორ ფაქტის დაპირდაპირებით აშკარავდება იმ ძალების მორალური და ზნეობრივი თვისებები, რომელნიც ერთმანეთს დაუპირდაპირდენ 24 ოქტ. და 1 ნოემბერს.

პირველი მოქმედებს ღიათ, საჯაროთ—რადგან იგი ქვეყანას ემსახურება. მეორე იმალება, ფლიდობს, ორპირობს, რადგან იგი ხალხის, ერის მოღალატის როლში გამოდის. პირველი ეყრდნობა მასსიურ ძალას და ერის თანაგრძნობას, მეორე მხოლოდ ჩეკათა ქანდარმებს და უცხოელ ხიშტებს. პირველი ძალა უმთავრესათ დემოკრატიული და რევოლიუციურია, მეორე იმპერიალისტური, დამჩაგვრელი, რეაქციონური.

და გამარჯვება მორალური, ზნეობრივი, გამარჯვება პოლიტიკური რჩება პირველის მხარეზე. საბჭოთა კომისრებმა თვით თავის ტყვილებით საჯაროთ მოაწერეს ხელი თავის საბოლოო გაკოტრებას და მთელი ქვეყნის წინაშე ამიერიდან აშკარა იქნება მთელი სულიერი სიღატაკე იმ ჯგუფის, რომელიც ხიშტით შემოიჭრა და ხიშტით ბატონობს ქართველ დემოკრატიაზე.

მართლაც რას მოითხოვდენ მუშები?

ეს ხალხი, რომელიც შიმშილის საშინელებას განიცდის, მილიტარულათ თავის ადგილას მიჯაჭვული არიან, რომელთაც უნდათ დაბამენ, უნდათ გადარეკავენ უცხოეთში ჩეკის ქანდარმები, თითქმის ივიწყებს მთელ თავის გასაჭირს, ივიწყებს თავის ვიწრო კლასიურ ინტერესებს—იგი სულ ერთ მუხლად აქვს მოთხოვნილებებში წამოყენებული და ისიც ბოლოში—პირველ რიგში გამოდის თავის ღრმა, უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საზოგადო მოთხოვნილებე-

F8379

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, რომელიც აერთებს კლასს ერთან, აქცევს მას მთელი ერის წარმომადგენლათ, მთელი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების, ყველა პროგრესიულ ელემენტების ბელადათ და ხელმძღვანელათ. აქ იგი აერთებს დაჩაგრულ ერის და რევოლიუციის ინტერესებს, მუშათა კლასისა და ნამდვილი საერთო წინმსვლელობის წმინდა ლოზუნგებს, აერთებს რევოლიუციას და დემოკრატიას, ე. ი. იმას, რაც ასე შელახულია რუსეთის მთელ სივრცეზე, რამაც შექმნა დღევანდელი აუწერელი ტრაგედია მთელ რუსეთის და იგი განმათავისუფლებელიდან—ჯალათად აქცია.

თფილისის მუშათა მოძრაობაში გამოჩნდა ძალა მოქნილი ტაქტიკის, მიზან-შეწონილი მოქმედების—გამოჩნდა ძალა ერთსულოვნობის.

იდეები ხიშტით არ დაიცხრილებაო, ამბობს ბრძნული თქმულება, და თფილისის მუშებმა თავის ამაყი, გაბედული, მრავალ ათასებისგან ხელმოწერილი მემორანდუმის წარდგენით—ერთხელ კიდევ ნათელ ჰყვეს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ნახევარი წლის ბოლშევიკების სისხლიანმა ბატონობამ და რეპრესიებმა მხოლოდ უფრო გაამკვიდრა და გააძლიერა ხალხში მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი და ს

ომში მისი დამარცხების შედეგი იყო სევრის ხელშეკრულობა, რომელიც ოსმალეთს ერთიანათ აჩაჩანაკებდა. და ამ ხელშეკრულობისადმი წინააღმდეგობის ნიადაგზე წარმოიშვა ანგორის მოძრაობა, რომელიც ქემალ ფაშის მეთაურობით დღემდე წარმოებს.

ამ მოძრაობის მთავარი მიზანია—ოსმალეთის ეტნოგრაფიულ ფარგლებში მაინც აღდგენა; ამ ნიადაგზე ანატოლიის ჯარმა დიდი ბრძოლები გადაიხადა, ინგლისის, საფრანგეთის და შემდეგ ბერძნების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი დღესაც არ დათავებულა და რა შედეგს მოიტანს ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ამ ბრძოლაში ანგორის მექომაგეთ გამოვიდა რუსეთის საბჭოთა მთავრობა, რომელმაც მიზნათ დაისახა აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებით ევროპის დიდი სახელმწიფოების მორბილება რუსეთის საკითხში და მათგან საბჭოთა მთავრობის აღიარების მიღწევა.

ამ რიგათ ახლო აღმოსავლეთის საკითხი ერთი-ორათ გართულდა, მით უმეტეს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებში ინტერესთა და აზრთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი.

ინგლისი თავის მხრივ ემხრობოდა და ხელს უწყობდა საბერძნეთს, რომელმაც მცირე აზიის დიდი და საუკეთესო ადგილები დაიჭირა.

საფრანგეთი თავის მხრივ მთელი წელიწადია მოლაპარაკებას აწარმოებს ანგორის მთავრობასთან, რომელიც იურიდიულათ დღემდე ცნობილი არ არის. პირველი პირობა მათ შორის დაიწერა ჯერ კიდევ მაისში ბექირ-სამი ბეის მონაწილეობით პარიზში, მაგრამ იგი ანგორის მთავრობამ არ მიიღო. ამის შემდეგ ხელახლა გაიმართა მოლაპარაკება საფრანგეთის პალატის დეპუტატ ფრანკლინ ბუიონის მონაწილეობით და ამ ოქტომბრის 28 ზავი მიღწეულ იქნა. ამ საზავო ხელშეკრულებით დიდი ნაციონალური კრების მთავრობა და საფრანგეთი საბოლოოთ ამყარებენ ურთიერთ შორის მშვიდობიანობას და ფარგლავენ საზღვრებს საფრანგეთის, სირიასა და ოსმალეთს შორის.

საფრანგეთმა დაუბრუნა ოსმალეთს ნაწილი იმ ტერიტორიის, რომელიც მას ეჭირა კილიკიაში ბაღდათის რკინის-გზის ჩრდილოეთით. თვით რკინის-გზა საზღვრათ დაიდვა და იგი კონცესიით მიეცა საფრანგეთის კაპიტალისტებს. სირია და მნიშვნელოვანი ნავსადგურიანი ქალ. ალექსანდრეტა დარჩა საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ.

ამ ზავმა ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ევროპის დიდ სახელმწიფოებზე, ისე ახლო აღმოსავლეთში.

პირველათ ყოვლისა საფრანგეთმა ამით ხაზგასმით აღიარა შესაძლებლობა სეპარატიულათ, მოკავშირეთა საერთო თანხმობის გარეშე ზავის ჩამოგდებისა ერთ-ერთ მეომარ სახელმწიფოსთან. მეორეთ, ეს ზავი დიდ უპირატესობებს ანიჭებს საფრანგეთს მცირე აზიაში, სადაც წინედაც ფრანგული ენა და კულტურული გავლენა ყველაზე მეტათ იყო გავრცელებული. მან ხელშეკრულებით ხელახლა დაიბრუნა უფლება შკოლების გახსნის და მოიპოვა მრავალი ეკონომიური უპირატესობანი მცირე აზიაში კონცესიების სახით.

სამაგიეროთ, გაზეთების ცნობით, საფრანგეთმა შესაძლებლათ იცნო ანგორის ნაციონალურ მოთხოვნილებებს მხარი დაუჭიროს, რამდენათაც ისინი სამართლიან მოთხოვნილებას წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში საბერძნეთის მისწრაფებების წინააღმდეგ მას ხელი გაუხსნა.

მაგრამ უმთავრესია ის, რომ ამ რიგათ დაიწყო მოკავშირე სახელმწიფოთა აშკარა განკერძოებული მოქმედება აღმოსავლეთის საკითხში.

საფრანგეთს მალე წაბაძა იტალიამ. მისი ელჩი დღეს უკვე ანგორაშია და თავის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს ქემალის მთავრობასთან ზავის ჩამოსაგდებათ და სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენათ.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ინგლისი დგას განზე და დიდ ნაწყენობას იჩენს ამ ხელშეკრულობით. ფრანგული და ინგლისური გაზეთები უკვე გაცხარებული კამათობენ ამ საკითხის გარშემო და ერთმანეთს საკვედურით ავსებენ. დიპლომატებ შორის გაცხოველებული და სერიოზული მიწერ-მოწერაა, რომლის შინაარსი ჯერ-ჯერობით გარეშეთათვის საიდუმლოთ ინახება და რომლის შესახებ შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ აქ შეეტაკა ორი თვალსაზრისი, ინგლისის, რომელიც მომხრეა ოსმალეთის დაყოფის და ასე ამ სახელმწიფოს ფაქტიური ლიკვიდაციის, და საფრანგეთის, რომელიც მიემხრო ოსმალეთის აღდგენას დაახლოვებით მის ეტნოგრაფიულ საზღვრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მკითხველს არ ეგონოს, თითქო აქ ლაპარაკი იყოს ძველი ოსმალეთის აღდგენაზე, მოვიყვან რამდენიმე ცნობას. დიდი ომის შედეგათ ოსმალეთმა დაკარგა: არაბეთი, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არის გამოცხადებული, და ეგვიპტე, მას ჩამოერთვა: პალესტინა და მესოპოტომია, მდიდარი ნავთით, რომელიც ინგლისის გამგებლობის ქვეშ იმყოფება. საფრანგეთმა წაიღო სირია და ქ. ალექსანდრეტტა, იტალიას უჭირავს ადალია ე. ი. მცირე აზიის ნახევარ კუნძულის სამხრეთი ნაპირები, საბერძნეთს სმირნა და ბრუსა, ე. ი. მცირე აზიის აღმოსავლეთის ნაპირები, ხოლო ევროპის კონტანენტიდან ოსმალეთი სრულიად გამოდევნილია. ადრიანოპოლი, და დარდანელის ევროპიული ნაპირი ბერძნებს უჭირავთ, კონსტანტინოპოლი კი დღეს მოკავშირეთა საოკუპაციო ბაზას წარმოადგენს და არავინ იცის, გავლენ ისინი ოდესმე აქედან თუ არა.

სევრის ხელშეკრულებით ამას გარდა უნდა ჩამორთმეოდა ოსმალეთს ვანის, ერზერუმის და ბითლისის ვილაეტები სომხეთის სასარგებლოთ, მაგრამ ეს ადგილები დღეს და ნაწილი ძველი რუსეთისაც ანგორის მთავრობის ხელშია.

ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ ოსმალეთი ფაქტიურათ თითქმის მინიმუმამდე არის დაყვანილი. ამ საზღვრებში იგი მოწყვეტილია ზღვას, გარდა შავისა, სადაც ერთი სერიოზული ნავთსადგური არ მოეპოვება და ამით მოკლებულია საკუთარ წარმოების განვითარების საშვალებას. იგი მხოლოდ შეიძლება კოლონიათ გამოდგეს.

საფრანგეთის ხელშეკრულობას ამ მდგომარეობაში ერთგვარი გაუმჯობესების შექმნა შეუძლია ოსმალეთისთვის. მაგრამ ოცნება იქნებოდა გვეგიქრა, რომ ოსმალეთს ამით ძველი ძალა და გავლენა დაუბრუნდება. საკითხი ეხება დღეს მხოლოდ სმირნა-ბრუსის რაიონებს, ფრაკიას და კონსტანტინოპოლს. ე. ი. უმთავრესათ თურქებით დასახლებულ კუთხეებს, რომელიც საბერძნეთს უჭირავს ან მოკავშირეთა დროებით ოკუპაციის ქვეშ იმყოფება.

მაგრამ ანგორის ამ მინიმუმი პროგრამის განხორციელებაც საეჭვოთ და სადაოთ არის გამოცხადებული.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მთელი სიმწვავე იმაში მდგომარეობს, რომ ამ მსუქანი და მოხერხებული ადგილის განაწილებაში მოკავშირენი ერთმანეთში აიშალნენ. ეს-იტალიელი ბედია ოსმალეთის პრობლემის. მისი დღიურ წესრიგში დასმა მუდამ საერთაშორისო კონკურენციის გამო ძნელდებოდა. ამით ცოცხლობდა და სულდგმულობდა ოსმალეთის დიპლომატია, და თავის დამოუკიდებელ არსებობას მოხერხებულათ იცავდა.

დღეს მდგომარეობა რამდენიმეთ შეიცვალა. ოსმალეთის საკითხი უკვე პრაქტიკულათ დაისვა, იგი გახდა ცენტრი ევროპის სახელმწიფოთა დღიური პოლიტიკის და იგი უნდა ასე თუ ისე გადაჭრილ იქნეს.

ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ ანგორის საკითხს კავკასიის საკითხიც გადაება. ინგლისის გაზეთები ანგორის ხელშეკრულებას უკავშირებენ ყარსში დადებულ პირობას, რომელიც კავკასიის ერთა ინტერესებს არსებითად ეხება და მათ დაუძლურებას ემსახურება.

ოსმალეთი, რომელიც დიდ ომში დამარცხდა, და ანტანტის მოწინააღმდეგეა, შეუძლებელია კავკასიის ხალხთა ბედის გადამჭრელის როლში გამოდიოდეს.

ასე ამბობს ინგლისის პრესა. ცხადია ინგლისი დღეს უკვე არსებით და ცხოველ ინტერესს იჩენს კავკასიისადმი, რომელსაც მეტათ დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ვინ არ იცის, რომ მესოპოტამიის ნავთის წყაროების უზრუნველყოფა კავკასიის რესპუბლიკათა თვითარსებობაზე დიდათ არის დამოკიდებული. ცნობილია ისიც, რომ ბაქოს ნავთის რაიონიც თითქმის ერთიანათ ინგლისელი ფირმებისგან არის შესყიდული, მისი გასატანი გზა კი ბათომია. ერთი სიტყვით აქ მისი მსოფლიო ბატონობის კვანძია გასკვნილი.

მეორე მხრით ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთსაც არა ნაკლები ინტერესები აქვს კავკასიაში. მისი კავკასიის პოლიტიკა გაგრძელებაა იმის, რაც მან პოლონეთის დამეგობრებით და ბალტიის სახელმწიფოების ცნობით დაიწყო. ეს არის პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საფრანგეთის პრიორიტეტი (პირველობა) ევროპის კანტინეტზე და მისი გავლენა გაავრცელოს თვით დიდ რუსეთზედაც.

ჩვენთვის რასაკვირველია დიდ სახელმწიფოებთან მხოლოდ მეგობრული განწყობილება არის სასურველი და ის, ვინც შეიქნება დამცველი ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის,

ვინც შეიქნება ერთგვარი ფაქტორი საქართველოს და მის მეზობელ რესპუბლიკათა საზღვრების უზრუნველყოფისა იმ ფარგლებში, რომელშიც შესაძლებელია ამიერ-კავკასიის ერთა ეკონომიური და კულტურული განვითარება, ის გახდება ყველაზე სასურველი მოკავშირე. და ეს მოთხოვნილება კავკასიის ერების არ ეწინააღმდეგება დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს. პირ-იქით მათ შორის ამ მხრივ სრული თანხმობაა.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ აქეთ-კენ უჭირავს გეზი ინგლისს, და რომ აქეთ მისწრაფის დღეს საფრანგეთიც.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას, რომელიც აზიის მუსულმანობას უპირდაპირებდა ევროპის იმპერიალისტებს და ამით თავის საქმეების გამოკეთებას ცდილობდა, დღეს მძიმე ლახვარი ჩასცა საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებამ. მუსულმანობაში მეთაური როლი ანგორას აქვს, ამ უკანასკნელის პოლიტიკა კი ამ ხელშეკრულების შემდეგ უნდა იმ «იმპერიალისტებისკენ» გადაიხაროს, რომლებთან საბრძოლველათ სურდა მოსკოვს მისი გამოყენება. ისიც უნდა ითქვას, რომ ანგორამ მიიღო უკვე მოსკოვისგან ყველაფერი, რის მიღებაც შეეძლო: ფული, იარაღი, ამუნიცია, ტერიტორიაც, და ახლა მას დიდი ინტერესები მაინც და მაინც არა აქვს მასთან «რევოლიუციური» კავშირის გაგრძელების. არც მოსკოვს შეუძლია დღეიდან წინანდული ნდობით უყუროს ანგორის მთავრობას. და იგი ან უნდა დააწვეს ისევ წითელ არმიელების ხიშტს და მათი საშვალებით შეეცადოს ანგორის «მოჭკვიანებას», ან, რადეკის სიტყვით, მიუგდოს აზიის დიდი ნაპერი იმპერიალისტებს, რომ იგინი ლაბობით შეიქციოს». ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათ წინაშე ქედი მოიხაროს ამ საკითხშიაც ისე, როგორც ვალების საკითხში მოიხარა.

სხვა გზა არ დარჩენია.

ჩვენ ხალხს, ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეებს და პირველ ყოვლისა მთავრობას დიდი გამჭრიახობა და პოლიტიკური შორს მჭვრეტელობის გამოჩენა მართებს, რომ ისარგებლონ შექმნილი მდგომარეობით საქართველოს და მასთან ამიერ-კავკასიის ერთა ბედის გამოსაჭედათ და მათი მომავალის უზრუნველსაყოფათ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

(საუბარი საქ. რეს. თავმჯ. ნ. ჟორდანიასთან)

«ჩიკაგო ტრიბუნაში», რომელიც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ქ. ჩიკაგოში გამოდის, მოთავსებულია შემდეგი:

«თქვენი კორესპონდენტი მიიღო საქ. რესპ. პრეზიდენტმა ნ. ჟორდანიამ, რომელიც ცნობილი ლიდერია ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი პარტიის. ის მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მეთაურობდა ადგილობრივ საზოგადოებრივ მოძრაობას. ამიტომ მის მსჯელობას განსაკუთრებული ღირებულება აქვს.

— როგორია მდგომარეობა დღეს თქვენ ქვეყანაში? ვკითხეთ ჩვენ პატივ. პრეზიდენტს.

— საქართველო დღეს დაპყრობილია მოსკოვის მთავრობის ჯარებისაგან. ბოლშევიკები ამა მდგომარეობას უწოდებენ «საბჭოთა წყობილებას».

— როგორ უყურებს ქართველი ხალხი ამ წლის თებერვალ-მარტში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებას?

— გადატრიალება საქართველოში არ მომხდარა. მოხდა მხოლოდ დაპყრობა. ხოლო დამპყრობელებისადმი მთელი ქართველი ხალხი გამსჭვალულია უღრმესი სიძულვილით. ამ ჟამათ საქართველოში არ არსებობს მთავრობა იმ სახით, როგორც ეს ესმის განათლებულ კაცობრიობას.

— შეირჩინეთ თქვენ კავშირი თავის ქვეყანასთან?

— საქარ. რესპ. მთავრობამ დასტოვა თავის ქვეყანა, რადგან მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩვენი დარჩენა შექმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენ კანონიერათ ვიცანით ახალი წესები, რომელიც ოკუპანტებმა დამყარეს, მთელი ხალხის სურვილი იყო, რომ უცხოეთში მაინც შეგვენახა ცენტრი, რომელიც განმახორციელებელია საქ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და სუვერენობის იდეის. რაც შეეხება კავშირს ხალხთან, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს დღესაც ჩვენ ქვეყანასთან. სისტემატიურმა დაჭერამ პოლიტიკურ და საზოგადოებრივი მოღვაწეებისა, რომელსაც ბოლშევიკები ეწევიან, ვერ ამოფხვრეს

ლხის შეგნებიდან სიყვარული თავისუფლებისადმი, ერთგულება დემოკრალიულ იდეებისადმი და ნდობა იმათდამი, რომელთაც მან მიანდო დაცვა თავის იდეალების და თავის დამოუკიდებლობის.

— როგორ გაქვთ თქვენ წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის მომავალი?

— ბოლშევიზმი, ყოველ ეჭვს გარეშეა—დაეცემა, რადგან ამ სისტემის დანგრევა ყველასათვის თვალსაჩინოა. საქართველოც დაუბრუნდება თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რომელიც მტრის შემოსევამ შესწყვიტა. მაშინ ეროვნული პირველი საზრუნავი იქნება აღდგენა ეკონომიურ ცხოვრების, რომელიც ბოლშევიკებმა დაანგრიეს.

— გეყოფათ კი ძალა ამ ამოცანის გადასაჭრელათ?

— ვერც ერთი ხალხი, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივათ მოჰყვა ბოლშევიკურ ბატონობის ქვეშ, ვერ აღსდგება თავის საკუთარი ძალებით. მაგრამ ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოვიზიდავთ უცხო კაპიტალს, ჩვენთა შორის ამერიკასაც.

საქართველო პატარა და ეკონომიურათ გაძლიერებელი ქვეყანაა. მაგრამ იგი დიდი ბუნებრივი სიმდიდრის პატრონია და გეოგრაფიულათაც განსაკუთრებით კარგი მდებარეობა უჭირავს. უკანასკნელ დროს, ბოლშევიკების შემოსევამდე, საქართველო თანდათან იქცევდა ევროპის კაპიტალისტთა ყურადღებას. მართალია ამერიკული კაპიტალი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენ ქვეყანას, მაგრამ ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ ამერიკა დღემდე ძალიან ცუდათ იცნობს საქართველოს.

— შეგიძლიათ თქვენ თუნდაც მოკლეთ გაგაცნოთ ჩვენი მკითხველისთვის თქვენი ქვეყნის სიმდიდრენი?

— მე დავიწყებ მადნეულობიდან. საქართველოში ჭიათურის რაიონში გვაქვს **მთელ ქვეყანაში უმდიდრესი** მარგანეცის მადანი, რომლის საბადენობა გამოკვლევის თანახმათ უდრის დაახლოვებით 100 მილიონ ტონს (ტონი 61 ფუთია) მაშინ როდესაც ინდოეთის მარგანეცის საბადენობა ომის წინ განისაზღვრებოდა სულ 5—7 მილიონი ტონით. ომის წინ (1913 წელს) საქართველომ გაიტანა მილიონ ტონზე მეტი, ხოლო ბრაზილიიდან კი ამავე წლებში 8 ჯერ ნაკლები იყო გატანილი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოში საუკეთესო მარგანეცი მოიპოვება; მარგანეცი ზღვაზე ახლოა მდებარეობს და გვერდით აქვს დაუშრეტელი წყლის ენერგია. დაბოლოს თვით მადანი მეტათ ახლოა დედამიწის ზედა პირიდან და მისი ამოღება ამიტომ გაადვილებულია. აქედან თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, რომ მარგანეცის წარმოებას საქართველოში დიდი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. და მე ეფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა აინტერესებდეს ამერიკის შტატებსაც, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მეტალურგიის განვითარების და მაშასადამე მარგანეცის მოხმარების მხრივ.

მაგრამ საქართველოს სხვა მინერალური სიმდიდრენიც მოეპოვება. 170 ადგილას აღმოჩენილია სპილენძის მადანი, 80 ადგილას—ტყვიის, 70—ნავთის. მე ვამბობ იმაზე, რომ ჩვენში ბლომათ მოიპოვება ქვანახშირი. ჩვენი ნავთის მადნებიც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამერიკელებისთვის.

— ამერიკა გაცნობილია ბაქოს ნავთს. აქვს ბაქოსთან რაიმე კავშირი თქვენ ნავთიან ადგილებს?

— ეს საკითხი დიდი ხანია აინტერესებს გეოლოგებს, რომელნიც იკვლევენ ამიერ-კავკასიას. მაგრამ გამოკვლევები ჯერ არ დამთავრებულა. ფიქრობენ, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადის ერთგვარ სიღრმეზე ნავთიანი ფენები, რომელნიც იძლევიან ბაქოს რაიონში ნავთის შადრევნებს. ამ ნავთიანი ქვენაფენების ექსპლოატაცია შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის მრავალ ადგილას, მაგრამ რასაკვირველია იგი დიდ კაპიტალს მოითხოვს.

— რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პირობებს, განაგრძობს ბ. ჯორდანია, მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში შეიძლება განვითარება თითქმის ყველა იმ კულტურის, რომელიც გავრცელებულია ამერიკაში. პირველი ადგილი უჭირავს ჩვენში პურს და სიმინდს, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე კულტურა თამბაქოსი, ჩაის, ბამბის, ბამბუკის. ამათი კულტურა შეიძლება დიდათ განვითარდეს და აქაც ჩვენ ველით უცხო კაპიტალის დახმარებას, რომელსაც ჩვენ მზათ ვართ მივცეთ შესაძლებლობა ნაყოფიერი მუშაობის.

— თქვენ ახსენეთ, ბ. პრეზიდენტო, ხელსა-

ყველი გეოგრაფიული მდებარეობა თქვენი ქვეყნის, რაში ხედავთ თქვენ ამ ხელსაყრელ მდებარეობას და რამდენათ აქვს მას მნიშვნელობა ამერიკელებისათვის?

— გადახედეთ ამიერ-კავკასიის ქარტას, გვიპასუხა ნ. ჟორდანიამ. აი ზღვის გზა, რომელიც მიდის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ძველი ქვეყნის შუაგულისაკენ. ეს გზა გაივლის გიბრალტარს, დარდანელს, ბოსფორს, გადასჭრის შავ ზღვას და მიაღწევს თავის უკანასკნელ პუნქტს—ბათომს. ამ გზის ბუნებრივი გაგრძელებაა—ამიერ-კავკასიის მაგისტრალი, რომელიც აერთებს შავ ზღვას კასპიის ზღვასთან, აქედან სპარსეთთან, თურქესტანთან, ავღანისტანთან, ინდოეთთან. ეს უახლოესი გზაა აღმოსავლეთისკენ და ეროი უდიდესი გზათაგანია მსოფლიო ისტორიაში. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საქართველოზევე გადის ერთათერთი გზა, რომლითაც ბაქოს ნავთს შეუძლია მსოფლიო ბაზარზე გამოვიდეს, ასე რომ ბაქოს ნავთის ექსპლუატაციას საკითხი განუყოფელია საქართველოს სატრანზიტო გზისაგან.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რაკი აღდგენილ იქნება ნორმალური საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა საქონლის, ჩვენს ტერიტორიაზე აუარებელი სატრანზიტო საქონელი და დიდძალი მგზავრები გაივლის. და ჩვენ სერიოზულათ გვაფიქრებს საკითხი ჩვენი რკინის-გზების მოწყობისა ამ ფართო დანიშნულების შესასრულებლათ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეთ დადგება ბოლშევიკების ოკუპაციის თავიდან მოშორების შემდეგ, რადგან ბოლშევიკებმა გაზიდეს უკვე ჩვენი ქვეყნიდან უდიდესი ნაწილი ჩვენი რკინის-გზის ქონებისა. დაგვჭირდება შეძენა უცხოეთში მრავალი ნაწილების, დაგვჭირდება შეკეთება ლიანდაგის, შეიძლება მალე საჭირო დარჩეს ახალი გზების გაკეთებაც. მე ვფიქრობ, რომ მოწინავე ქვეყნებს შეუძლიათ ჩვენი დახმარება როგორც ამ საქმეში, ისე რკინის-გზის მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

— განა არ შეუშლიან ხელს ამიერ-კავკასიაში ტრანზიტის განვითარებას ის უთანხმოებანი, რომელიც არსებობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის?

— მე დარწმუნებულა ვარ, რომ ამ უთანხმოებას, რომელიც წარმოშობილია შავბნელი წარსულისაგან, მომავალში ადგილი აღარ ექნება. ამიერ-კავკასიის ხალხებს მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი—მეგობრულათ იცხოვრონ, და ერთმანეთს ძმურათ დაეხმარონ. ჩვენ შევკარით მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი ჩვენ მეზობელ სომხეთთან, აზერბეიჯანთან და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან. სარკინისგზო კონვენცია და ამიერ-კავკასიის რკინის-გზების კონცესია არსებით ელემენტათ შედის ამ საკავშირო ხელშეკრულებაში. ვფიქრობ, რომ მომავალში ეს კავშირი უფრო განვითარდება და გამტკიცდება.

კიდევ ერთი კითხვა ბ-ნო პრეზიდენტო, ბევრი არიან საქართველოში ამერიკის მოქალაქენი?

— ჩვენში ისინი ძალიან ცოტა იყვენ, უფრო ცოტა ვინემ ჩვენ გვინდოდა. მაგრამ მათ დიდი და კეთილი საქმე გააკეთეს. ამიერ-კავკასიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ ამერიკულ კომიტეტს, რომელმაც დაგვანახვა არა მარტო ჰუმანიური ქველმოქმედება შეერთებულ შტატების, არამედ ისიც, თუ როგორი განსაცვიფრებელი სისწრაფით, ბეჯითათ და უხმაუროთ აკეთებენ დიდ საპასუხისმგებლო სამუშაოს თქვენი მოქალაქენი.

საქართველო და ევროპა.

მეორე ინტერნაციონალი საქართველოს შესახებ.

22 და 23 ნოემბერს ბრიუსელში გაიმართა მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა საერთაშორისო მიმდინარე საკითხები. აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა აგრეთვე საქართველოს საკითხი და კერძოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის პასუხი მეორე ინტერნაციონალის ცნობილ წინადადებაზე—ქართველი ხალხის დაკითხვის შესახებ, და მიიღო შემდეგი დადგენილება:

«გაეცნო რა **საქართველოს კომუნისტურ** პარტიის პასუხს მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებაზე, რომელსაც სახეში ჰქონდა საქართველოში ხალხის

თავისუფალი დაკითხვა შერეულ კონტროლის ქვეშ, აღმასრულებელი კომიტეტი უყურადღებოთ სტოვებს იმ ლანძღვა-გინებას, რომლითაც კომუნისტების პასუხი იხსენიებს საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობას, და აღნიშნავს:

1. რომ საქართველოს ტერიტორია დაპყრობილ იქნა მოსკოვის ჯარების მიერ და რომ მოსკოვის მთავრობას დანიშნული ჰყავს საქართველოში ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომლისადმი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილნი; რომ მსოფლიო პროლეტარიატის თვალში მოსკოვის მთავრობაა ერთად-ერთი პასუხისმგებელი საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისა და იქ გამეფებულ ტეროორის რეჟიმისათვის.

2. რომ მოსკოვის მთავრობის ამ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ამძიმებს საქართველოში უკანასკნელად მოხდარი ამბები, სახელდობრ მუშათა საპროტესტო გაფიცვები, რომელიც ჩახრჩობილ იქმნა უხეში ძალით, ისე, როგორც ეს რეაქციონურ მთავრობებს სჩვეოდათ;

3. იმ დროს, როცა მოსკოვის მთავრობა მოითხოვს, რომ ის ცნობილი იქნას სხვა სახელმწიფოთა მიერ, ის პატივცემით უნდა მოეპყრას სხვა ხალხების უფლებას, თუ უწდა, რომ მის უფლებებს სცენ პატივი, და არ უნდა გათელოს ის ელემენტარული პრინციპები, რომელნიც საფუძვლათ უნდა დაედოს კულტურულ ერების ურთიერთობას.

ამიტომ, აღმასრულებელი კომიტეტი: ა) კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთის მთავრობამ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან და მით შეძლება მისცეს ქართველ ხალხს თვით გახდეს თავისი ბედის ბატონი;

და ბ) წინადადებას აძლევს მეორე ინტერნაციონალის მომხრე ყველა პარტიებს: როცა მათ წინაშე დადგება საკითხი მოსკოვის მთავრობის ცნობის შესახებ, ანგარიში გაუწიონ იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს ამ საკითხსა და საქართველოს დემოკრატიის განთავისუფლების შორის, რომელიც საქვეყნოთ მოითხოვს ყოველივე უცხო ძალებისაგან განთავისუფლებას».

IV. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜ. ᲡᲝᲪ. ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ.

ამხანაგებო!

მოგესალმებით საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის სახელით, რომელიც ყოველთვის დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს საფრანგეთის პროლეტარიატის ბრძოლას სოციალისტური იდეების განსახორციელებლათ.

დღეს, როდესაც მთელი ქვეყნის მუშათა კლასი საშინელ განხეთქილებას განიცდის, ჩვენ გული, ისე როგორც თქვენი, მიისწრაფის იქითკენ, რომ ხორცი შეესხას მუშათა კლასის მთლიანობის იდეას და სოციალიზმის განხორციელების იმ იდეებს, რომელთაც მთელი თავის სიცოცხლე ემსახურებოდა დიდი ჟორესი.

თქვენ მოგეხსენებათ ამხანაგებო ის გაჭირვება, რომელსაც განიცდის დღეს საქართველოს მუშათა კლასი.

ის თავის თვალით ხედავს დღეს ქვეყანას დაპყრობილს და დამონებულს იმ მთავრობის ჯარებისაგან, რომელიც თავის-თავს სოციალისტურს უწოდებს. ის ხედავს, რომ მსხვერპლი გამხდარა იმ ვეება ტალღის, რომელმაც დეზორგანიზაცია შეიტანა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში, რომელმაც ნანგრევებათ აქცია და შიმშილის კარებამდე მიიყვანა რუსის ხალხი, იმ ტალღის, რომელსაც ეწოდება ბოლშევიზმი. (ტაშის ცემა).

მოსკოვის მთავრობა სწორეთ იმიტომ შემოესია თავის ჯარებით ჩვენს ქვეყანას, სადაც მთელ ხალხს მუშათა კლასი მეთაურობდა, რომ ჩვენი მეთოდი სოციალიზმის განხორციელებისა არსებითად განსხვავდება საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთა მეთოდისაგან. უარჰყო რა ბოლშევიკების პრინციპი უმცირესობის მიერ ძალმომრეობის საშვალებით უმრავლესობაზე ბატონობისა, ჩვენი მუშათა კლასი მიზნათ ისახავდა სოციალიზმის მიღწევას იმ გზით და საშვალებებით, რომელმაც ჩააბარა მას ხელში საქართველოს რესპუბლიკის მართვა-გამგეობა, ე. ი. დემოკრატიზმის გზით საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებით და მთელი ხალხის მიერ თავისუფალ არჩეულ დაწესებულებებზე დაყრდნობით. (ტაში).

ჩვენი ქვეყნის დაპყრობით, ბოლშევიკებმა ფეხქვეშ გასთელეს პრინციპი ერთა თვითგამორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვევის. და მხოლოდ მოსკოვის ჯარის ხიშტებით და საშინელი ტერორით ბატონობს დღეს საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება წინააღმდეგ მთელი ხალხის და კერძოთ მუშათა კლასის ერთსულოვანი სურვილისა.

ევროპის სოციალისტებმა ერთხმათ დაგმეს ბოლშევიკების ბოროტმოქმედება საქართველოს მიმართ ჩადენილი. და თქვენმა პარტიამ ევროპის დანარჩენ სოც. პარტიებთან ერთათ მხარი დაუჭირა საქართველოს სოც.-დემ. წინადადებას, რათა შემდგარიყო შერეული საერთაშორისო კომისია, სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან, რომელიც თავისუფალ კენჭის ყრით გამოარკვევდა ქართველი ხალხის და კერძოთ მისი მშრომელი ელემენტების ნამდვილ ნების ყოფას. (ტაში).

და აი ეს წინადადება უარყოფილ იქნა ხიშტებით გაბატონებულთა მიერ (კრებაში მოძრაობაა), იმ წერილში, რომელიც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ლონდონში კლიჩკომ გადასცა ოფიციალურათ მაკდონალდს, ბოლშევიკები უარყოფენ ქართველი ხალხის შეკითხვას რადგან, როგორც თვითვე აცხადებენ, მათ არ სურთ დემოკრატიული პრინციპი მიიღონ ხალხთა ნებისყოფის გამოსარკვევათ. ისინი უარს ამბობენ მეორე მხრით შერეულ კომისიის საქართველოში მიღებაზე, რადგან მათ არ სურთ რაიმე საქმე დაიჭირონ ევროპის სოციალისტებთან, რომელნიც არ შედიან მე-3 ინტერნაციონალში და რომელთაც ისინი უყურებენ, როგორც, «იმპერიალისტების ლაქიებს». (მოძრაობა ზალაში).

მაგრამ მიუხედავათ იქ გამეფებულ მძიმე პირობებისა, საქართველოს მუშათა კლასი არ სცნობს ამ მოძალადეთა ხელისუფლებას, ის ერთსულოვნათ და შეურყევლათ უდგია მათ ოპოზიციაში, იმ ღრმა რწმენით გამსჭვალული, რომ მალე დადგება ის დღე, როდესაც ევროპის სოციალისტური პროლეტარიატი აღადგენს თავის მთლიანობას, და გადაიქცევა იმ ძლიერ ფაქტორათ, რომელსაც თავისდა უნებურათ ანგარიშს გაუწევენ არა მარტო პირდაპირი მოწინააღმდეგენი მუშათა კლასის, არამედ ისინიც, ვინც დღეს სოციალისტის ნიღაბს ეფარება, მაგრამ თავის პოლიტიკის ნამდვილი ხასიათით კი ემსახურება რეაქციონურ იმპერიალიზმს, მეტათ საშიშს მუშათა კლასის საქმისათვის. (აპლოდისმენტები).

დაბოლოს გისურვებთ, რომ თქვენი სოციალისტური მუშაობა ყოფილიყოს ნაყოფიერი.

გაუმარჯოს საფრ. სოციალისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ ინტერნაციონალს! (ხანგრძლივი ოვაციები).

ევროპის პრესა თფილისის პროლეტარიატის გამოსვლების შესახებ.

სრული სამი კვირაც არ იყო გასული თფილისის პროლეტარიატის ისტორიულ გამოსვლის შემდეგ, რომ ამ ამბავმა მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრა.

17—18 ნოემბერს ევროპის ორმა უდიდესმა ტელეგრაფის სააგენტომ («ჰავას-რეიტერმა») მთელი ქვეყნის გაზეთებს (განსაკუთრებით ინგლის-ამერიკას) დეპეშით ამცნეს მოკლე ისტორია თფილისის მუშათა დელეგაციისა, რევკომის სამარცხვინო ძალადობისა, 1 ნოემბრის მიტინგებისა და გაფიცვისა და დასასრულ უკანასკნელ ბოლშევიკურ რეპრესიებისა.

19 ნოემბერს, საფრანგეთის უდიდეს და უგავლენიანეს გაზეთში, პარიზელ «ლე თემპს»-ში დასტამბული იყო ვრცელი დეპეშა, რომელშიაც აწერილია თფილისის პროლეტარიატის გამოსვლა საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ, შემდეგი სათაურით: «ქართველები წინააღუდგენ ბოლშევიკების ბატონობას». ესევე ცნობა დაიბეჭდა მრავალ ასეულ გაზეთში: საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, სკანდინავიის სახელმწიფოებში, ერთი სიტყვით, მთელს ევროპაში.

ჩვენი მეგობრები ყოველივე მხრიდან გვატყობინებენ, რომ თფილისის ამბებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ევროპის საზოგადოებრივ აზრზე და, კერძოთ, მუშათა წრეებში. სოციალისტური და მუშათა პროფესიონალური პრესა ამ ამბებს სთელის სანიმუშოთ, ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნებისა, მისი ანტიპროლეტარული და ანტიგლეხური ხასიათის მამხილებლად. ბოლშევიკებმა კარგად გაითვალისწინეს ის შთაბეჭდილება, რომელსაც ქართველი მუშების მასიური და წმინდა პროლეტარული მეთოდით გატარებული გამოსვლა მოახდენდა ევროპაში და აი მოსკოვმა საჩქაროთ დაგზავნა დეპეშები ევროპაში, რომლებიც თფილისელ «პრავდა გრუზიის» და «კო-

ეროვნული

მუნისტის» პროვოკაციას და ცილისწამებას იმეორებდენ. მაგრამ ამაოდ! გარდა იმისა, რომ ბოლშევიკების ჯორებს ევროპაში გასეალი აღარა აქვს—განსაკუთრებით საქართველოს შესახებ, უკვე მოსკოვის დეპეშის მიღებამდე მთელმა ქვეყანამ იცოდა სიმართლე ოქტომბერ-ნოემბერს თფილისში მომხდარ ამბების შესახებ. ამგვარად, ყველა მიმდინარეობის სოციალისტურ გაზეთებს შეძლება ჰქონდათ დაეპირდაპირებიათ მოსკოვის ჯორისათვის ნამდვილი ამბავი და ემხილათ ბოლშევიკების პროვოკაცია, საქართველოს პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული.

მოგვყავს ამ გვარ მხილების ერთ-ერთი ნიმუში. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ ორგანოში, პარიზელ «პოპულერ»-ში*) (22 ნოემბრის ნომერი) დასტამბულია შემდეგი ცნობა:

«ქართველი პროლეტარიატი ცდილობს გადაიგდოს ბოლშევიკების უღელი».

გუშინდელ «ჰუმანიტეში» **) გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა:

„«პრავდა» აღნიშნავს, რომ თფილისის მენშევიკები ორჯერ შეეცადენ გამოეწვიათ რკინის-გზელების გაფიცვა. ეს ცდა წამსვე ჩაიშალა სამარცხვინოთ მენშევიკებისათვის და დაგმობილ იქნა მუშების მიერ გამოტანილ რეზოლიუციაში“.

ამ ცნობას სახეში აქვს—განაგრძობს «პოპულერი», უეჭველად, ის ამბები, რომელიც აწერილია დეპეშაში, რომელიც ჩვენმა ამხანაგებმა ესეცაა მიიღეს აბსოლიუტურად უტყუარ წყაროდან, აი ეს ცნობა:

«საოკუპაციო რეჟიმის გაძლიერების, საქართველოს ეროვნულ ტერიტორიის დაქუცმაცების, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის გამწვავების გამო თფილისის მუშებმა ოქტომბრის შუა რიცხვებში გადასწყვიტეს გაეგზავნათ დელეგაცია საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისათვის (ბოლშევიკური მთავრობა).

ამ დელეგაციას უნდა გადაეცა 5132 მუშის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი, რომელიც შეიცავდა შემდეგ მოთხოვნილებებს: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რუსის ჯარების გაყვანას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, გაუქმებულ თავისუფლებების აღდგენას, პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას.

24 ოქტომბერს 9 მუშისაგან შემდგარი დელეგაცია მივიდა სასახლეში «რევოლიუციონურ კომიტეტის» თავმჯდომარე ბ-ნ მდივანთან ამ მემორანდუმის გადასაცემათ. უკანასკნელი ჯერ დაჰპირდა დელეგატებს მიღებას, აცდევინა 3 საათი, შემდეგ კი გამოუცხადა მეორე დღეს მისულიყვენ. სასახლიდან გამოსვლისას დელეგატებს შემოერტყენ ჩეკისტები, რომლებმაც ისინი დაიპირეს და სარდაფში ჩაჰყარეს. რამოდენიმე დღის განმავლობაში ქალაქში არავინ იცოდა დელეგაციის ბედი. 29 ოქტომბერს, საზოგადოებრივ აზრის დასამშვიდებლად, «რევ. კომიტეტის» თავმჯდომარემ პრესაში განაცხადა, რომ არავითარი დელეგაცია არც გამომცხადებია და არც დაუჭერია მას.

ამავე დროს კომუნისტურ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომლებიც მოითხოვდენ ტეროორის ზომებს მენშევიკების წინააღმდეგ.

31 ოქტომბერს თფილისმა შეიტყო, რომ მუშათა დელეგაცია იმყოფებოდა დატყვევებული მეტეხის ციხეში. ამ ამბავმა საერთო აღშფოთება გამოიწვია მცხოვრებთა შორის. პირველ ნოემბერს დილით თფილისის მუშებმა მიატოვეს სამუშაო. ყველა სამრეწველო დაწესებულებები, რკინის-გზები, ტრამვაი, ექსპედიცია და სხვ. დადგენ. გაიმართა მიტინგები. მხოლოდ რკინის-გზის სახელოსნოების მიტინგზე თავი მოიყარა 10,000 მუშამ. ყველგან მიღებულ იქნა აღშფოთების გამომხატველი რეზოლიუციები. პროტესტის ნიშნათ გამოცხადდა საერთო გაფიცვა ერთი დღით.

ამავე დღეს დატყვევებულმა დელეგაციამ გაუგზავნა ციხიდან «რევ. კომიტეტის» თავმჯდომარეს ის მემორანდუმი, რომელიც მას 24 ოქტომბერს უნდა გადაეცა. მუშებმა მიმართეს მოქალაქეებს ორი არალეგალური პროკლამაციით, რომლებიც არკვევდა მომხდარ ამბებს.

3 ნოემბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტის 2,000 სტუდენტმა გამართა მიტინგი, რომელ-

*) მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ გაზეთს ხელმძღვანელობს ცნობილი ფრანგი სოციალისტი ჟან ლონჟე, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულა ბოლშევიზმის ჰიპნოზისაგან, თუმცა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ენერგიულ იდეურ ბრძოლას აწარმოებს.

**) ფრანგ კომუნისტების ცენტრალური ორგანო.

მთარგმნელი.

ზედაც დაადგინეს სავსებით დაეჭირათ მხარი პროლეტარიატის მოთხოვნილებათათვის და ერთხმად მიიღეს ენერგიული საპროტესტო რეზოლიუცია.

მოძრაობის დასაცხრობათ ბოლშევიკები აწარმოებენ სასტიკ რეპრესიებს. 2,000 კაცამდე უკვე დატყვევებულია, მათ შორის მრავალი სოციალისტური ბოღვაწე. კომუნისტური გაზეთები მოითხოვენ ტეროორის გაორკეცებას. «პრავდა გრუზია» სწერს «მენშევიზმი გახურებულ რკინით უნდა ამოვწვათო»...

«პოპულერი» დაასკვნის: «რა თქმა უნდა, «ჰუმანიტე» სდუმს ქართველი ხალხის მიერ მის მჩაგვრელთა მიმართ წარმოებულ ბრძოლის წინაშე და ლაქიურად უშლის თავის ფურცლებს ყოველნაირ ტყუილებს, რომელთა მიზანს ამ ბრძოლის გაბახება და მოსკოვის მთავრობის ბოროტმოქმედებათა დამალვა შეადგენს!»

ასე ამხელენ ევროპის სოციალისტები თფილის-მოსკოვის პროვოკაციულ ჭორებს და საქვეყნოთ გამოაქვთ სიმართლე ქართველი პროლეტარიატის და მთელი ხალხის სასახელო ბრძოლის შესახებ. «ჰუმანიტე»-ები ვეღარ ბედავენ მოსკოვის ტყუილების დაცვას: საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა პოლემიკამ, რომელშიაც წინათ თავის სამარცხვინოთ ჩაებენ ევროპის კომუნისტები, უკვე წაართვა მათ ამისი ხალისი.

„მოსკოვის მოძალადეებმა პასუხი უნდა აგონ...“

(„ფრაიჰაიტი“ ამხ. პ. ჭიჭინაძის გარდაცვალების შესახებ

გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანო «ფრაიჰაიტი» (28 ოქტომბრის ნომერში) ათავსებს წერილს ამხ. პარმენ ჭიჭინაძის გარდაცვალების შესახებ.

თფილისის ციხეში მოწამისებური სიკვდილით გარდაიცვალა ექიმი პარმენ ჭიჭინაძე, საქართველოს სოც.-დემ. პარტიის თვალსაჩინო წევრი», იუწყება «ფრაიჰაიტი». გაზეთს მოჰყავს შემდეგ დაწვრილებითი ცნობები განსვენებულის მოკლე ბიოგრაფიისა, ცნობები მისი პარტიული მუშაობის და პოლიტიკური მოღვაწეობისა, მის მიერ ცარიზმის დროს განცდილ დევნა-გადასახლების შესახებ. დადასასრულ გაზეთი სწერს:

«მან იცოდა თუ რა მოელოდა ბოლშევიკურ რეჟიმისაგან, მაგრამ არ მოისურვა სამშობლოს დატოვება. მოსკოველმა კომუნისტებმა ის, სხვა მრავალ ასეულ ამხანაგებთან ერთად, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე სოციალიზმის სამსახურში გაუტარებიათ, ციხეში ჩააგდეს,— იმავე ციხეში, რომელსაც ის ასე კარგად იცნობდა ცარიზმის დროიდან. მაგრამ ეხლა ხომ მთელი საქართველო ციხეს წარმოადგენს, ხოლო ციხე—ნამდვილ ჯოჯოხეთს! ყოველ დღე ახალი მსხვერპლები მოჰყავთ და ჯალათებს ყოველ ღამე აქვთ «სამუშაო»: დღეკანდელ თფილისში ყოველ ღამით ხვრეტენ 15—30 კაცს. **მძიმე ავათმყოფი** იწვა ის ციხის საკანში, პირადი განთავისუფლების იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ შეურყეველი იყო მისი რწმენა ქართველი ხალხის განთავისუფლებისა.

თფილისის ციხის კაზემატებში საშინელ ტანჯვაში ჩამქრალი, ამ კეთილშობილი ძველი მებრძოლის სიცოცხლე ლოდათ უნდა დააწვეს მოსკოვის დიქტატორების სინიდისს, რომლებიც საქართველოში მომქმედი აგენტების საშუალებით ცდილობენ **ფიზიკურად მოსპონ** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთელი შემადგენლობა. ადრე თუ გვიან—მოსკოველი მოძალადეები იძულებული იქნებიან პასუხი აგონ ამისათვის ევროპის პროლეტარიატის წინაშე!»

ამას კომუნისტებიც გრძნობენ და ამიტომ არის, რომ ისინი უკანასკნელათ «შემოდგომის ბუზივით» იკბინებიან.

„მოხუცი სილვა“.

«ფორვერტსი» (8 ნოემბრის №-ში) ატყობინებს თავის მკითხველებს ამხ. სილიბისტრო ჯიბლაძის დაპატიმრების ამბავს და აცნობს ქართველი პროლეტარიატის ძველი მებრძოლის პიროვნებას.

«ჯიბლაძე ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როცა 1883 წელს რევოლიუციურ ასპარეზზე გამოვიდა; ყველა ამ ხანებში მას წილად ხვდა 3 წლის ციხე. იშვიათი თავგანწირულებით და არა-ჩვეულებრივი ენერგიით ხელმძღვანელობდა ის საქართველოს პარტიას **30 წლის** განმავლობაში. 1900 წელს ის გაიგზავნა ქართველი მუშების პირველ წარმომადგენლად პეტერბურგში რუს ამხანაგებთან მუდმივი კავშირის დასაკავებლად. 1903 წელს ის დაიჭირეს, კარ-

გა ხანს ციხეში ამყოფეს და შემდეგ გადაასახლეს.

1905 წლის ამნისტიამ შეძლება მისცა მას დაბრუნებულიყო სამშობლოში... 1910 წელს კვლავ გადასახლებული იქნა. როგორც რუსეთის აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელ კრების და თფილისის დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მისი სახელი კანდიდატთა პირველ რიგში წამოაყენა პარტიამ.

«მოხუცი სილვა»—ასე უწოდებენ მას მუშები—ჭაღარა, თითქოს მარმარილოდან გამოქანდაკებული, მოციქულის სახის პატრონია; ამასთანავე მის თვალებს ჭაბუკის გამომეტყველება აქვს. ის ესწრებოდა თფილისში ყველა დიდ კრებებს და მუშებისაგან გარშემორტყმული მამას მოგაგონებდათ. ამიტომაცაა, რომ ბოლშევიკები მას სდევნიან...

1883—1917 წლამდე ჯიბლაძემ არა ერთი და ორი დატუსაღება იგემა, მაგრამ ციხემ ვერასოდეს შესძლო მისი მხნეობის გატეხა. და არც მაშინ შეუშინებია ის დატუსაღებას, როცა ის ღამით ბინიდან წაიყვანეს. მაგრამ მას სიმწარეს გვრიდა ის აზრი, რომ მისი დაჭერის განკარგულება მოახდინეს რენეგატებმა, რომლებიც ოდესღაც მისი მოწაფეები იყვნენ... ისინი მოვიდენ მოსკოვიდან რუსის ჯარებთან ერთად და მიიღეს საოკუპაციო ძალებისაგან ისეთი მოვალეობა, რომელსაც ისინი დიდის ხალისით ასრულებენ: სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყველა ძალების მოსპობა. ამ რენეგატთა შორის ისეთებიც არიან, რომლებიც მას და ნოე ჟორდანიას არარაობიდან გამოუყვანიათ და ადამიანათ გაუხდიათ. ეხლა კი მათ მასწავლებელი ჯალათს მიჰგვარეს... რაც მან უკანასკნელ დატუსაღების დროს განიცადა, აღემატება ძველ მეფურ საკატორღო ციხეების საშინელებას და მოგვაგონებს უნგრეთის მოძალადე ჰორტის «ზასტენოკს».

ბოლოს გაზეთი იუწყება, რომ ამხ. სილიბისტრო გაანთავისუფლეს მხოლოდ მაშინ, როცა ის მძიმეთ დაავათმყოფდაო.

ადამიანის უფლებათა დამცველი საზოგადოება საქართველოს შესახებ.

ეს საზოგადოება სცემს პერიოდულ გამოცემას, რომელსაც ეწოდება: «რეული ადამიანის უფლებათა დამცველ საზოგადოებისა». ამ გამოცემის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ამხ. პიერ რენოდელის წერილი: «ოკუპაციული საქართველო».

ავტორს 12 სვეტის სივრცეზე აწერილი აქვს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და მოყავს ზოგიერთი ცნობები მისი ისტორიიდან; შემდეგ ახასიათებს სოციალისტების როლს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების განვითარებაში, განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას უკანასკნელ წლებს, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო და დემოკრატიულ წყობილებას ამყარებდა.

შემდეგ მოთხრობილია ისტორია ბოლშევიკების მზადებისა საქართველოს წინააღმდეგ; თავდასხმა და დაპყრობა საქართველოსი. ბოლოს დახასიათებულია დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის და აღნიშნულია მუშათა კლასის ბრძოლის ეპიზოდები მოძალადე დამპყრობთა წინააღმდეგ. სხვათა შორის მოყვანილია სამი ათასი მუშის მოწოდება ევროპის სოციალისტების მოლაპარაკების კომუნისტებთან—«ევრეული კომისიის საშვალებით ქართველ ხალხის სურვილის გამორკვევის!

ამ მშვენიერ წერილს მნიშვნელობა ემატება იმითაც, რომ საზოგადოება, რომლის ორგანოში იგია მოთავსებული, შეიცავს საფრანგეთის ყველა პროგრესიულ პარტიების საუკეთესო ძალებს—რადიკალებიდან და რესპუბლიკანელებიდან დაწყებული, უკიდურეს სოციალისტებამდე. ამ რიგათ მასში გამოთქმული შეხედულება, შეიძლება ითქვას ავრთებს საფრანგეთის პროგრესიულ საზოგადოების ყველა წრეებს.

საფრანგეთის სოციალისტური ახალგაზრდობა ესარჩლება საქართველოს.

სოციალისტურ ახალგაზრდათა კრილობაზე საფრანგეთში ერთხმათ იქნა გამოტანილი დადგენილება—გაეგზავნოს მისალმების დეკეშა საქართველოს სოც.-დემ. ახალგაზრდობას, რომელიც ბოლშევიზმის ძმიმე უღელ ქვეშაც ერსტოვებს თავის ენერგიულ მუშაობას.

ქართველი ახალგაზრდობა ახალგაზრდა მუშათა საერთაშორისო კრილობაზე.

მუშათა ახალგაზრდობის კონგრესი შეიკრიბა მთელი ევროპიდან ვილფელდში (გერმანია). გერმანიის გარდა წარმომადგენლები დაესწრენ ჰოლანდიიდან, შეეციიდან, ნორვეგიიდან, და

საფრანგეთიდან. ქართველმა სტუდენტებმაც, რომელნიც ახალგაზრდათა ს.-დ. კავშირს ეკუთვნიან, გადასწყვიტეს კონგრესზე დასწრება და თავის წარმომადგენელი გაგზავნეს.

კონგრესის მთავარი საგანი იყო უმთავრესათ დემონსტრაციის მოხდენა საერთო მშვიდობიანობის სასარგებლოთ. ქართველ სტუდენტების მხრით ილაპარაკა სტ. ვიშელიძემ, რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე და თითქმის ყველა სოც.-დემ. გერმანულ გაზეთებში იქნა გადაბეჭდილი.

ამხ. ვიშელიძე აღიარებს თავის სიტყვაში, რომ იგი დიდათ აღელვებულია იმ სანახაობით, რომელსაც წარმოადგენს ახალგაზრდა მუშათა კონგრესი, შეკრებილი ევროპის ყველა კუთხეებიდან, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვას თავის ღრმა რწმენას სოციალისტური ინტერნაციონალურ იდეალთა განხორციელების აუცილებლობაში. შემდეგ აღნიშნა ქართველი ხალხის ბრძოლა მშვიდობიანობის მოსაპოვებლათ და ის ტანჯვა, რომელსაც ის განიცდის კომუნისტურ დამპყრობელთა მიერ.

სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

ამხ. პარმენ ჯიჯინაძის დასაფლავება.

დემოკრატიულ საქართველოს რუსის ხიშტებით დაპყრობის შემდეგ 9 ოქტომბერი ერთი შესანიშნავი დღეთაგანი იყო საქართველოს ცხოვრებაში. ამ დღეს დავასაფლავეთ ყოფილი სამხედრო მინისტრი პ. ჯიჯინაძე.

იგი გარდაიცვალა თფილისში მიხეილის საავთმყოფოში.

მის შემდეგ, რაც რუსეთის «სოციალისტურმა» ხიშტებმა დაიპყრო საქართველო ამხ. პარმენმა მიატოვა ქალაქი და წავიდა სოფლათ, სადაც სოფლურ ცხოვრებას აპირებდა, და მოკიდა ხელი ყანების და ბაღების დამუშავებას.

მაგრამ «კომუნისტურმა» კანონებმა გამოიჩინა ყოფილი მეფის სიმამაცე და ამხ. პარმენი, რომელიც წინეთ დევნილი იყო, როგორც პოლიტიკური დამნაშავე და მომეშავე სარევოლიუციო ორგანიზაციებში, ახლა ამ ხანაში, როცა საქართველო ვითომ «სოციალისტური» გახდა, დაჭერილ იქნა «სოციალისტური» კანონების ძალით და სხვა მის ამხანაგებთან ერთ. თფილისის მეორე № მეტეხის ციხეში მოათავსეს. რამოდენიმე თვის ჯდომის შემდეგ არა ადამიანური, და თვითმპყრობელურ რეჟიმზე უარეს პირობებში ჩაყენებამ, ეს ჩვენი ქართველი ხალხის საამაყო სოციალისტი, გახდა მძიმე ავათ, და როცა იგი რამოდენიმე საათის შემდეგ უნდა გარდაცვლილიყო, მხოლოდ მაშინ მოგვცეს ნება, რომ გადაგვეყვანა მიხეილის საავათმყოფოში. და იქ კიდევაც დალია **სული ამხ. პარმენმა.**

მაშინვე ამორჩეულ იქნა დამსაფლავებელი კომისია, რომელმაც აიღო ნებართვა გრუზრევკომიდან, (ასე უწოდებენ საქ. უმაღლეს სახელმწიფო მთავრობას) რომ ამხ. პარმენის გვამი დაგვემარხა სამხედრო ტაძრის ეზოში, სადაც არის ძმათა სასაფლაო საქარ. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დახოცილთა. გრუზრევკომმა ნება დართო, და კომისია და მთელი ქართველი ხალხი ამ საისტორიო პროცესიის სამზადისს შეუდგა.

9 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა იწყო მოგროვება მიხეილის საავთმყოფოში, ნაწილმა კი რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო ტაძრის წინ და ეზოში. მეც იქ ვიყავი ეზოში და მოველოდი პროცესიას, ამ დროს მოვიდა რამდენიმე ათეული შეიარაღებული პირი, და დაიკავა ტაძრის ეზოში შესავალი კარები.

გაჩდა ხალხში ფუჩუნი, რაშია საქმეო?!

გავიდა ცოტა ხანი და მოვიდა ავტომობილი და მოსწნა ეს შეიარაღებული ხალხი ტაძრის ეზოდან. ამავე დროს გადმოგვცეს ცნობა, რომ «დაკრძალვა მოხდება არა სამხედრო ტაძრის ეზოში, არამედ დიდუბის ეკლესიის ეზოშიო». ხალხი აღელვებული, ზოგი ეტლით, ზოგი ფეხით, გაექანა მიხეილის საავადმყოფოსკენ.

პლეხანოვის პროსპექტის მთელ სიგრძეზე ყველა შესახვევებში იდგენ შეიარაღებული ჩეკისტები და კომატრიადები. მაგრამ განა ეს შეაშინებდა ქართველ ხალხს, რომელსაც არა ერთჯერ უნახავს ნიკოლოზის შეკაზმული მამაცი კაზაკები და ალიხანოვ ავარსკების დრაგუნები თავისი მათრახებით და ხმალთოფებით?

ამ დღეს, 9 ოქტ. ქართველი ხალხი, როგორც წინეთ არ აქცევდა ყურადღებას შეიარაღებულ

ჩეკისტებს და მიეჩქარებოდა, რომ უკანასკნელი მოვალეობა მოეხადა დამსახურებულ 30 წლის მებრძოლ ხალხის განთავისუფლებისთვის დატანჯულ სოციალისტის წინაშე.

მაინც მოგროვდა რამდენიმე ათი ათასი ხალხი შავ ძაძით შემოსილი, და გაიმართა პროცესია. მაგრამ რადგან ქართველი ხალხის სურვილს არ დაეთანხმა «კომუნისტური» მთავრობა, რომ დაგვემარხა საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული ადამიანი ქართული დროშით და ჰიმნით, ამის გამო მოერთოთ გვირგვინი ცოცხალ ყვავილებით, სადაც იყო გამოყვანილი ჩვენი ქართული სამ ფეროვანი დროშა, მეორე გვირგვინზე ცოცხალ ყვავილებით იყო გამოხატული ღერბი: წმიდა გიორგი შვიდი მნათობით; მესამე შესანიშნავი გვირგვინი იყო მეტეხის ციხიდან გარშემორტყმული ეკლით.

გაემართა წინ გვირგვინები, გვირგვინებს უკან მიზდევდა დიდი შავი დროშა და შემდეგ კი მთელი ხალხი, უმთავრესათ ქართველები. ამ ნაირად სამაგიეროდ სამხედრო ტაძრისა, სადაც საფლავი იყო დამზადებული, გაგვამგზავრეს დიდუბისკენ.

იქ შემდეგი სურათი დაგვხვდა კარები დაკეტილი იყო და შიგ ეზოში კი რამოდენიმე ასეული შეიარაღებული ჩეკისტები იდგენ, და როგორც კი პროცესია კარებს მიადგა, გაისმა ყვირილი: «რაზაიდიტეს, ატო სტრელიატ ბუდემ». არავის მიუქცევია ყურადღება ამისთვის. მაგიდაზე ავიდა ვლასა მგელაძე და დაიწყო ლაპარაკი: პირველად გააცნო ხალხს მთელი ბიოგრაფია პარმენის რამაც ბევრი დამსწრენი აატირა, შემდეგ გადავიდა პოლიტიკაზე და ბოლოს შეეხო კომუნისტებსაც. ხალხიდან მოისმოდა ბევრნაირი წყევლა-კრულვა კომუნისტების მიმართ. ილაპარაკა 20-30 წუთი. ხალხის აღელვებას საზღვარი არ ქონდა. შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საქ. კათალიკოსმაც შემდეგ ერთი კაციც არ შეგვიშვეს ეკლესიის გალავანში, დაგიერიენ შეიარაღებული ჩეკისტები და გვიყვიროდენ იმ სიტყვებს, რომელიც სტოლიპინის და ნიკოლოზის კანონების დროს იყო ხმარებაში. ხალხი დაგროვდა ნელ-ნელა და დემონსტრატიულად ქართული ჰიმნის მღერით დაბრუნდა პლეხანოვის პროსპექტით, კიროჩნი ქუჩამდი მივიდა დაწყობილათ და შემდეგ დაიშალა.

პროცესია გაგრძელდა საღამოს 7 საათამდე.

დამსწრე.

საშვლოვიარო წერილები.

საზღვარ გარეთ მყოფი სოციალისტ-ფედერალისტთა ჯგუფი უერთდება იმ უსაზღვრო მწუხარებას, რომელსაც იწვევს ქართველ ხალხის გულში უდროოდ დაღუპვა თავგანწირული მებრძოლის სპეტაკი ამხანაგის პარმენ ჭიჭინაძისა.

ქართველი ხალხი არასოდეს არ მისცემს დავიწყებას იმ თავგანწირულ მამულიშვილთა ხსოვნას, რომელნიც ისევე ვერ ურიგდებიან დღეს გაბატონებულ უცხო უხეშ ძალას, როგორადაც ისინი ვერ ურიგდებოდენ ცარიზმის ჯალათობას.

მალე დაჰკრავს ზარი საქართველოს განთავისუფლებისა და მკვდრეთით აღმდგარი ქართველი ხალხი ნიშნად პატივისცემისა ამ გმირების ხსოვნისა მწუხარე დახრის ეროვნულ დროშებს და მოწიწებით მუხლს მოიდრეკს იმ წმინდა საფლავების წინაშე, სადაც განისვენებენ სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებულნი, რომელთაც დღევანდელმა ჯალათებმა სიცოცხლე მოუსპეს.

ჯგუფის სახელით ი. გოგოლაშვილი.

კონსტანტინოპოლი. ჩვენ, სამშობლოდან შორს მყოფი ამხანაგები, გულწრფელი მწუხარებით დავსტირით ამხანაგ პარმენ ჭიჭინაძის უდროო საფლავს. ვუთვლით თანაგრძნობას მის ოჯახობას.

ივ. ფაშალიდი, მ. წულუკიძე, ს. გეგელაშვილი, ვ. სულაქვერიძე, მ. უბირია, პ. ჩაჩა, ს. თურქია, მ. გელაძე, კვ. ქღენტი, ი. შავდია, ხავთასი, დ. ღოღობერიძე, იაკ. რუხაძე.

მცირე შენიშვნა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ქართველ ერს უსაშინელესი უბედურება თავს დაატყდა. თავისუფალს, თავდადებით მომუშავეს თავის ეროვნული შემოქმედების აღორძინებისათვის, მშვიდობიანობის მოყვარულს და ყველა მეზობელთან თუ შორეულთან კეთილგანწყობილების მოსურნეს თავს დაესხა ჩრდილოეთის ბარბაროსული ბრბო და ხელი მიჰყო მის ძირან-ფესვიანად განადგურებას. და მერე როგორს? ეს გაცოფებული ხალხი, რომელმაც თავის საკუთარი სამშობლო არ დაინდო და გააპარტახა, კიდევ მეტი დაუზოგველობით ეცა ქართველ ერს. გაიცარცვა ხალხი უკანასკნელ ლუკმა პურამდე, აირია და განადგურდა ეკონომიური საქმიანობა, ჩაქრა, მოიშალა გონებრივი შემოქმედება, შეწყდა სახელმწიფოებრივი ამშენებლობა. ისტორიულ ქარ-ცეცხლში გამობრძნედილ ქართველ ერს კიდევ ერთხელ დასჭირდება მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიბოს და ძალმოსილობით მის კისერზე დადგმული ბარბაროსული უღელი მოიშოროს. ასეთ მძიმე ისტორიულ დროს ერის უმაღლესი ინტერესი მოითხოვს ყველა სასიცოცხლო ძალთა შეთანხმებულ მოქმედებას. მართალია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ საკმაოდ მომზადებული ვაოფილიყავით კარზე მომდგარ მტერის დასახვედრად. ისტორიის წინაშე ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ ამ ჩვენი სისუსტისა და დაუდევრობისათვისა. ვერც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი, ვერც ერთი საქართველოში მომქმედი პოლიტიკური პარტია გულზე ხელს ვერ დაიდებს და სინდისის წინაშე ვერ აღიარებს, რომ სრულიად ალალ-მართალი იყოს ამ ჩვენ მოუმზადებლობაში. მაგრამ რასაკვირველია უმთავრესი ბრალი ედება იმ პარტიას, რომელსაც ხელში ეჭირა მთავრობის ძალა-უფლება. მისი მრავალი შეცდომების წყალობით ქართველმა ერმა ვერ განახორციელა თავისი ძალ-ღონის მაქსიმუმის თავმოყრა უაღრეს განსაცდელის დროს, რამაც მტერს საოცრად გაუადვილა ჩვენზე გამარჯვება. მისი საგარეო პოლიტიკა ხშირად შორ გაჭვრეტილი და ჩინებულად მიზან-შეწონილი, უფრო ხშირად მოგვიანებული ინიციატივას და ინტენსივობას მოკლებული გამოდგა, რათა, ქართველ ერისთვის მეგობრების და კეთილ-მეოფლებლის გამოვლენით უფრო გაემკვიდრებია მისი მდგომარეობა საერთაშორისო ოჯახში. ურემი გადაბრუნდა და გზაც გამოჩნდა. ეხლა ყველა ჩვენგანი მეტად თუ ნაკლებად ჩვენ შეცდომებს ვხედავთ. და თუ წარსულის კრიტიკას ვეწევით, არა იმ მიზნით, რომ ურთიერთი განხეთქილება, დავა და შუღლი გაჩაღოთ. პირ-იქით ამ კრიტიკამ მხოლოდ იმდენად უნდა მიიქციოს ჩვენი ყურადღება, რამდენადაც ის წარსული შეცდომების გათვალისწინებით მომავალ აღმშენებლობას გაგვიადვილებს. ჩვეულებრივ დროსაც გადაჭარბებული ჯგუფობრივი შეხლა ხშირად ერის სუვერენულ უფლების დამტეხელია. და ისეთ არა ჩვეულებრივ დროს კი, როგორსაც დღეს ჩვენ განვიცდით, ერის გაერთიანებული, მთლიანი, შეზავებული მოქმედება უმაღლესი საარსებო პირობაა. მე არ ვამბობ, რომ სხვა და სხვა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა სრულიად ხელი აიღონ თავიანთ განკერძოებულ ინტერესებზე, არა, ეს შეუძლებელიცაა და არც საჭიროა. საჭიროა ურთიერთის გაგება, ურთიერთის დათმობა, კერძო მიდრეკილებათა საერთო უმაღლეს მიზნისთვის დამორჩილება. სწორად და გულწრფელად მდგომარეობის შეგნება თუ გვექნება, მაშინ ჩვენთვის საოცრად ადვილი იქნება სწორი სამოქმედო გზის გამოძებნაც. კარგა ხანია ქართველი ერი თითქმის სავსებით პოლიტიკურ პარტიებათ ჩამოყალიბდა. ჩვენში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არ იცავდეს. რა საკვირველია, ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ იმ ორიოდე მოღალატეს, რომელთაც მტერს წინ წამოუძღვენ სამშობლოს ასაოხრებლად. სახელმწიფოებრივი პარტიების უმაღლესი მოვალეობა დღევანდელ მომენტში ეს არის იხსნას ქართველი ერი გარეშე მტრისაგან, ხალხი გადაარჩინოს ეროვნულ განადგურებას და ხელახლა გაუხსნას ქართველ ერს საკაცობრიო შემოქმედების გზა. ეს ისეთი უდავო დებულებაა, რომ ჩვენ იმედი გვაქვს ვერც ერთი პარტია მას გზას ვერ აუხვევს და განზე ვერ გადგება. ურთიერთი დათმობა, ურთიერთი შეთანხმება და საერთო ძალებით საერთო პოლიტიკურ იდეალის განხორციელება—აი მომენტის დევიზი, სავალდებულო ყველასათვის.

პეტრე სურგულაძე.

საქართველოს ამბები.

მუშათა დელეგაცია. 24 ოქტომბერს რევკომის მიერ დატუსაღებული თფილისის მუშათა დელეგაცია ისევ მეტეხში ზის და ჯერ-ჯეროობით არავითარ ბრალდებას არ უყენებენ.

«ქართველი მუშების გამოსვლა მოსკოვის იმპერიალისტების წინააღმდეგ». ამ სათაურით სტამბოლში გამოვიდა ფრანგულ ენაზე 52 გვ. წიგნი, რომელშიც სავსებით მოყვანილია თფილისის მუშების რევკომისადმი წარდგენილი მემორანდუმი, პარტიებისადმი მიმართვა, მუშების მოწოდებანი, მეტეხის ციხიდან დელეგაციის მიერ რევკომის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი წერილები, სტუდენტების მოწოდება, რეზოლიუციები, რომლებიც 1 ნოემბერს მიიღეს მიტინგზე თფილისის მუშებმა და ყველა ის ამბები, რომლებიც მუშათა დელეგაციის დატუსაღებამ გამოიწვია. წიგნი უკვე გავრცელდა ევროპის ყველა სახელმწიფოებში.

რეპრესიები. საქართველოდან მიღებული ცნობებით, ბოლშევიკებმა საქართველოში კიდევ უფრო გააძლიერეს რეპრესიები, თფილისში და პროვინციაში ასობით ატუსაღებენ მუშებს, გლეხებს და საზოგადო მოღვაწეთ.

რკინის-გზელთა წინააღმდეგ. ბოლშევიკები განსაკუთრებითი ზომებს იღებენ რკინის-გზელთა წინააღმდეგ. ისინი მოწინავე მუშების დატუსაღებით აღარ დაკმაყოფილდენ და ეხლა სამსახურიდან დათხოვნასა და გადასახლებას მიღვეს ხელი. ათ ოქტომბრამდე «მივლინების» სახით უცხოეთში გადაასახლეს 1500-მდე მუშა. 9 ოქტომბერს შტატის შემოკლების სახით თფილისში დაითხოვეს 160-დე მუშა, ხოლო ნავთლუხ-კახეთის გზებიდან ასამდე. ამ სახით დათხოვნა მთელ რკინის-გზაზე ხდება. მირონოვს ახალი პროექტი აქვს შემუშავებული, რომლის თანახმათ უნდა დაითხოვონ 860 მუშა. ამავე დროს იგივე მირონოვი რუსეთიდან იწერს ახალ მუშებს, რომლის ერთი ნაწილი უკვე ჩამოვიდა საქართველოში და დაიკავა ქართველი მუშების ადგილი.

ქართული უნივერსიტეტის ბედი. 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა ოფიციალურათ აცნობეს ქართული უნივერსიტეტის დეკანს ჯავახიშვილს, რომ სტუდენტთა კავშირის და სტუდენტთა სასადილოს გამგეობანი დათხოვნილია და მათ ადგილს დანიშნულები დაიჭერენო. გარდა ამისა მოითხოვეს რუსულათ ლექციების კითხვა და პოლიტეხნიკუმთან შეერთება. ყველა ამის გამო ჯავახიშვილმა თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა, ხოლო გამგეობის წევრი—სტუდენტები გადაიმალენ.

შეტაკება სვანებთან. სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ ბოლშევიკების რუსულ წითელ არმიას, რომელიც გაგზავნილი იყო სვანეთში ხალხის გასაიარაღებლათ, შეტაკება მოუხდა სვანებთან და დიდი ზარალი ნახა. სვანები უარს ამბობენ ბოლშევიკების შეშვებაზე და იარაღის მიცემაზე. სვანების შეიარაღებულ რაზმს ხელმძღვანელობენ ძველი გამოცდილი მებრძოლი რევოლიუციონერი სვანები, რომლებსაც მთელ სვანეთში დიდის ნდობით უყურებენ.

ეგზეკუცია სოფლათ. ბოლშევიკებმა რუსის წითელი არმიელები თითქმის ყველა მაზრების სოფლებში ჩააყენეს. თითო ოჯახზე დარიგებულია 5-6-7 არმიელი და დავალებული აქვთ მათი შენახვა. სოფელს ეს ძლიერ აწუხებს. ამის გამო საქართ. რევკომთან გამოცხადდა ასურეთის რაიონის დელეგაცია და სთხოვა ეგზეკუციის მოხსნა. რევკომმა სოფლელების თხოვნა არ შეიწყნარა და გააფრთხილა—მეორეთ არ გაბედოთ ასეთი თხოვნებით მომართვაო.

ჯარების გაძლიერება. ბათუმსა და მის ოლქში ამ უკანასკნელ დროს გააძლიერეს რუსის წითელ-არმიელთა რიცხვი. მოდიან ახალ-ახალი ეშელონები, რომლებიც იგზავნებიან თათრის საზღვრებისკენ.

რეპრესიები აჭარლების წინააღმდეგ. 14 ნოემბერს ბათუმში დაატყვევეს ყოფილი მეჯლისის (რომელიც ბოლშევიკებისგან იყო მოწვეული) 25 წევრი, მათ შორის აჭარის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე ხასან ლორთქიფანიძე, ხუსეინ-ბეგ ბიბინ-ზადე, ზია ხარაზი და სხვები. დაატუსაღეს აგრეთვე სტამბოლიდან ახლად დაბრუნებული ზია-ბეგ აბაშიძე.

ტუსაღების ცემა. უკანასკნელ ხანებში ბოლშევიკებმა მეტეხის ციხეშიც გააძლიერეს რეპრესიები. ოქტომბრის დამლევს ტუსაღის ცემასაც ქონდა ადგილი. ჩეკის გამომძიებელმა ფედორენკომ ტუსაღები ნიკოლოზ ზურაბიშვილი და ნიკ. ჩაბიშვილი ფიზიკურათ დასაჯა და «კარცერში» დააწყვდია, იმიტომ რომ გამოძიების დროს რუსული ენის უცოდინარობის გამო მათ რუსულათ ჩვენება ვერ მისცეს. ამის გამო ტუსაღებმა პროტესტი გაუცხადეს რევკომისა და ჩეკის თავმჯდომარეებს და იუსტიციის კომისარს. მითი განცხადება უყურადღებოთ დასტოვეს.

რედაქციისაგან. უადგილობის გამო ზოგიერთი მასალები გადაიდვა.

საქართველოს მუშების გამოსვლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ხანებში მოსკოვის სოვნარკომი და მისი მაჩანჩალა საქართველოს რევკომი აშკარათ შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურათ მოსპობას და გაბათილებას.

ამან მიიპყრო საქართველოს დემოკრატიის მოწინავე რაზმის—თფილისის მუშების ყურადღება. მოსკოვის სოვნარკომისა და საქართველოს რევკომის მოქმედებამ ყველა საგონებელში ჩააგდო, მუშებში შეიქნა მითქმა-მოთქმა და დაიწყეს აშკარათ თავისი გულისწყრომის გამოთქმა. 8 და 10 ოქტომბერს თფილისის რკინის-გზის ყველა დეპო-სახელოსნოებში, ქარხნებში, ფაბრიკებში და სხვაგან გამართეს მუშებმა ამ კითხვების შესახებ თათბირი და გადასწყვიტეს წარმომადგენლების გაგზავნა საქ. რევკომთან და წერილობითი განცხადების გადაცემა. ამ მიზნით მათ გამართეს განცხადებაზე ხელის მოწერა მუშებში, რომელზედაც 17 ოქტომბრამდის მოაწერა ხელი 5,132 მუშამ. ამის შემდეგ ზემო აღნიშნულ სახელოსნოებისა და ქარხნების მუშებმა აირჩიეს სამი პირისაგან შემდგარი დელეგაცია პოლიტიკურ პარტიებთან მოსალაპარაკებლათ და 9 პირისგან შემდგარი დელეგაცია საქ. რევკომთან მოსალაპარაკებლათ. უკანასკნელში ერთხმათ არჩეული იქმნენ: იასონ ჩაჩუა, იაკოფ ასიტოვი, ლეონტი თომაძე, ანდრო თოდუა, იასონ კახაბრიშვილი, ვასილ ოსიძე, პეტრე ხარაძე, იოსებ ავალიძე და ნიკოლოზ გოგინაშვილი.

მიმართვა პოლიტიკური პარტიებისადმი.

პარტიებთან მოლაპარაკების დელეგაციამ, 17 და 18 ოქტომბერს: სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებს, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს, სოციალ.-რევოლიუციონერებს და ნაციონალ-დემოკრატებს მიმართა შემდეგი განცხადებით:

«პატივცემულნო მოქალაქენო!

ჩვენ, თფილისის მუშებმა, პოლიტიკური პარტიების გარეშე, გადავწყვიტეთ წარუდგინოთ საქართველოს რევკომს განცხადება ყველა იმ აშკარა და უდავო, საყოველთაოთ ცნობილ მოვლენების გამო, (მაგ. ტერიტორიის საკითხი, ენა, მუშათა გადასახლება და სხვა) რომელსაც ადგილი აქვს რესპუბლიკის ფარგლებში და რომელნიც, ჩვენის ღრმა რწმენით, თუ დროზე არ იქმნა მათზე მიქცეული შესაფერი ყურადღება, განსაცდელს უმზადებს ჩვენი მშრომელი ხალხის და მთელი ერის მომავალს.

ამავე დროს ჩვენ მივმართავთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მიმართულებათ და მათ შორის თქვენ, რომელთა უდავო სურვილს უნდა წარმოადგენდეს ერის საარსებო ინტერესების დაცვა, გვერდში ამოგვიდგეთ და მხარი დაუჭიროთ რევკომის წინაშე ჩვენს ნაბიჯს. ამ შემთხვევაში ჩვენ ანგარიშს ვუწევთ არა ამა თუ იმ მიმართულების წარმავალ ინტერესებს, არამედ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი ერის და მაშასადამე უპირველესად მისი მშრომელი ნაწილის წინააღმდეგ მიმართული ზომები საშიშროებას უმზადებს ჩვენს ისტორიულ განვითარებას, რომლის შესახებ უნდა აღიმაღლოს ხმა ყველამ, ვისაც აინტერესებს ჩვენი ერის არსებობა და მისი განვითარება. დარწმუნებული ვართ თქვენს თანაგრძნობაში და დახმარებაში.

თფილისის რკინის-გზის სახელოსნოს, დეპოს, ტრამვაის, არსენალის, ელექტრონის სადგურების, მბეჭდავთა კავშირის, ფაბრიკა-ქარხნების, ნავთლუღ-ავლაბარ-ორთაჭალის მუშების წარმომადგენლების დელეგაცია.

დელეგაციის დატუსაღება.

მთავარმა დელეგაციამ გადასწყვიტა წარსდგომოდა საქ. რევკომს 24 ოქტომბერს, გაეცნო მისთვის მუშების აზრი და გადაეცა მემორანდუმი. 19 ოქტომბერს ეს თავისი გადაწყვეტილება დელეგაციამ აცნობა ყველა პოლიტიკურ პარტიებს, გარდა კომუნისტურისა. დანიშნულ დღეს დელეგაცია გამოცხადდა სასახლეში რევკომის თავმჯდომარესთან, მაგრამ იქედან დაბრუნებული იგი არავის უნახავს. არავინ არ იცოდა რა ბედი ეწვია დელეგაციას და სად იყო იგი. 25 ოქტომბერს ხმა გავრცელდა ქალაქში, რომ დელეგაცია სასახლეში დაატყვევეს და ეხლა «გრუზჩეკის» სარდაფში ყავთ დამწყვდეულიო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მუშათა უბნებს და მთელ ქალაქს. 27 ოქტომბერს «ჩეკამ» დელეგაციის წევრები,

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ნიკ. გოგინაშვილისა, სარდაფიდან მეტეხის ციხეში გადაიყვანა. ამის შემდეგ ყველასთვის აშკარა შეიქნა დელეგაციის ბედი. ამავე დღეს თფილისის მუშებმა ფურცელი გამოუშვეს საქართველოს მშრომელი ხალხისადმი და ამცნეს მას და მთელ საქართველოს, თუ როგორ უდიერათ მოეპყრა რევკომი საქართველოს მუშათა კლასს და მის წარმომადგენლებს. რას მოითხოვდა თფილისის მუშები და რით გასცა პასუხი ბ. მდივანმა? «დეე ყველა გაეცნოს «კომუნიზმის ქურქში» გახვეულ პროლეტარიატის ჯალათებს და იცოდეს ამიერიდან მშრომელმა ხალხმა, რომ 24 ოქტომბერს საქართველოს რევკომმა თფილისის პროლეტარიატის დელეგაცია დაატყვევა!» ასე ათავებდენ თფილისის მუშები თავის მოწოდებას.

28 ოქტ. მეტეხის ციხიდან დელეგაციამ რევკომის თავმჯდომარეს და შრომის კომისარს წერილობითი განცხადება გაუგზავნა და ამცნო, რომ ისინი იყვენ არჩეული თფილისის მუშების მიერ დღევანდელ ხელის-უფლებასთან საჭირ-ბოროტო საკითხებზე მოსალაპარაკებლათ, რომ ამ მიზნით ისინი გამოცხადდენ სასახლეში 24 ოქტ. საღაც ჯერ შეპირდენ რევკ. თავმჯდომარის სახელით მიღებას, აცდევინეს 5 საათი, ხოლო მერმე გამოუცხადეს ხვალ მოდითო და როცა სასახლიდან გამოვიდენ დაატყვევეს ჩეკისტებმა, გაჩხრიკეს, მოეპყრენ უდიერათ და ეხლა მეტეხში სხედან. დელეგაცია მოითხოვდა დამნაშავეთა დასჯას და მათ განთავისუფლებას.

29 ოქტომბერს საქ. რევკომის თავმჯდომარემ მიიღო მეტეხის უფროსისაგან ოფიციალური ცნობა, რომ მისადმი რწმუნებულ ციხეში სხედან დელეგაციის წევრები და რომ მათი ნახვა და სხვაგან გადაგზავნა ჩეკის ნებადაურთველათ ყოვლად შეუძლებელიაო. მიუხედავათ ყველა ამისა, რევკომის თავმჯდომარემ ბატ. მდივანმა უტიფრათ განაცხადა გაზეთებში შემდეგი: «თფილისში ხმებს ავრცელებენ ვითომც რაღაც დელეგაცია დაეპატიმრა საქ. რევკომმა. გადაჭრით ვაცხადებ, რომ არავითარი დელეგაცია არც მიმიღია და არც დამიპატიმრებიაო». ამავე დროს რუსულ-ქართულ კომუნისტურმა გაზეთებმა დაიწყეს პროვოკაციული და პროგრომული წერილების წერა სოც.-დემოკრატიისა და მუშების წინააღმდეგ. ყველა ამან კიდევ უფრო აღაშფოთა მუშათა წრეები და საზოგადოება.

31 ოქტ. რევკომის თავმჯდომარემ მდივანმა მეტეხის ციხიდან მიიღო დელეგაციის შემდეგი მეორე წერილი:

«საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარეს.

თფილისის მუშათა დელეგაციის **განცხადება.**

ამა თვის 28-ს ჩვენ მოგმართეთ განცხადებით ჩვენი დატყვევების შესახებ. 29 ამა თვეს თქვენ საჯაროდ განაცხადეთ გაზეთ: «კომუნისტსა» და «პრავდა გრუზიაში», რომ არავითარი დელეგაციის დაპატიმრების შესახებ თქვენ არც განკარგულება გაგიცია და არც არაფერი იცით. ამიტომ მოვალეთ ვთვლით თავს თქვენსა და ჩვენ მარწმუნებელ თფილისის მუშათა წინაშე უფრო დაწვრილებით გავაშუქოთ ჩვენი დატყვევების ამბავი. ჩვენ ცხრა კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, შრომის სხვა და სხვა დარგებიდან წარმომადგენელნი, ორშაბათს 24 ოქტომბერს, დაახლოვებით $11^1/_2$ საათზე გეახელით სასახლეში, რათა თქვენთვის გადმოგვეცა თფილისის მუშათა კლასის დავალებით ის პეტიცია, რომელშიც გამოთქმულია დღევანდელი ცხოვრების ის საჭირ-ბოროტო საკითხები, რომელნიც მას მთელ ქართველ ერთან ერთად აღელვებს. სასახლის ქვედა სართულში მიგვიღო ერთ-ერთმა მოხელემ, რომელმაც პირველად გამოგვიცხადა, რომ დღეს თავმჯდომარე ვერ მიგიღებთ, ვინაიდან ის მხოლოდ ეხლა დაბრუნდა მოსკოვიდან და თავის მოადგილედან საქმეებს ღებულობსო. ჩვენი მტკიცე თხოვნის შემდეგ, რომ უთუოდ იმავე დღესვე მივიღეთ, ხსენებული მოხელე ამოვიდა ზევით თქვენთან. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ თავმჯდომარეს ამხ. იასონ ჩაჩუას დაუძახეს ზევით. იქ იმას დაწვრილებით მოელაპარაკა თქვენი პირადი მდივანი დელეგაციის მიზნის შესახებ, გაეცნო ის თფილისის მუშათა მემორანდუმის შინაარსს და შემდეგ შემოვიდა თქვენს კაბინეთში. რამოდენიმე ხნის შემდეგ რევკომის საქმეთა მმართველმა გამოგვიცხადა, რომ თავმჯდომარე პირველ საათზე მიგიღებსო. დანიშნულ დროზე შეადგინეს ჩვენი სია, წამოიღეს ის თქვენთან და ცოტა ხნის შემდეგ აგვიყვანეს ზევით. პირველ საათზე ჩვენ ყველანი თქვენი კაბინეთის წინ მისაღებ დარბაზში ვისხედით იმის მოლოდინში, რომ თქვენ გამობრძანდებოდით ჩვენ სანახავად, ან და დაგვიძახებდით თქვენს კაბინეტში. ორი საათი შესრულდა, როდესაც თქვენგან გამოსულმა ერთ-ერთმა მოხელემ გამოგვიცხადა: დღეს ვეღარ მიგიღებსთ თავმჯდომარე და ხვალისთვის გთხოვთ მოსვლასო. ჩვენ აუხსენით, თუ რა ძნელია, ჩვენთვის, როგორც მუშებისათვის, ზედმეტი დღეების გაცდენა და დაჟინებით ვთხოვეთ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მოეხსენებიათ თქვენთვის ჩვენი შუამდგომლობა იმავე დღეს მიღების შესახებ. ხსენებული მოხელე მართლაც შემობრუნდა თქვენს კაბინეთში, თუთხმეტი წამის შემდეგ გამოვიდა და უკანასკნელად გამოგვიცხადა, რომ, უკაცრავად, მაგრამ დღეს თავმჯდომარეს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თქვენი მიღება და გთხოვთ ხვალ მოხვიდეთო. მაგრამ ჩვენ შეკითხვაზე, თუ რომელ საათზე უნდა მოვსულიყავით, ვერაფერი გვითხრა გადაჭრით. მოგვცა ტელეფონის ნომერი 3-37 და გვითხრა: 11 საათზე დამირეკეთ და მიღების საათს მაშინ შეგატყობინებთო. ჩვენც მეტი არაფერი დაგვრჩენოდა, მხოლოდ ვუპასუხეთ: მაშ დანიშნულ დროზე გეახლებით და გთხოვთ ხვალ მაინც დაჩქარებით და დაუბრკოლებლივ მიგვიღოსთქო. ამის შემდეგ ჩვენ დავაპირეთ სახლში წასვლა, მაგრამ გამოვედით თუ არა გარეთ, იქვე სასახლესთან შემოგვარტყეს ალყა და წაგვასხეს საგანგებო კომისიაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ კარგა ხნის განმავლობაში (თითქმის სამ საათნახევარი), რომელიც ჩვენ სასახლეში დავყავით ჩვენი დელეგაცია შეიქნა იქ გაცხოველებული ყურადღების საგნათ. არა ერთხელ გამოდიოდა ესა თუ ის მოხელე სხვა და სხვა ოთახებიდან და მათ შორის თქვენი კაბინეთიდან და კითხულობდა: სადაა დელეგაცია, ხომ არ წასულაო და სხვა... ვიღაც ჩვენთვის უცნობი პირები შემოდიოდენ გარედან, გვათვალიერებდენ და მიდიოდენ. როგორც შემდეგ გამოირკვა ეს პირები ყოფილან საგანგებო კომისიის თანამშრომელნი, რომელნიც სასახლიდან გამოსვლისას თან გამოგყვენ და გამოგვიცხადეს დატყვევება. ჩვენს დატყვევებას ხელმძღვანელობდა საგანგებო კომისიის მდივანი ბ. ცინცაძე; იმ პირთა შორის, რომლებიც ჩვენ გვათვალიერებდენ მისაღებ დარბაზში იყო საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვასილ წივწივაძე, რომელიც შემდეგ თქვენთან შემოვიდა კაბინეთში. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაცხოველებული ლაპარაკი სწარმოებდა ტელეფონებით ვიღაცეებთან ჩვენი დელეგაციის შესახებ და სხვ. და უნდა მოგახსენოთ, რომ პირდაპირ საოცარია, რომ თქვენ არაფერი არ გცოდნიათ არამც თუ ჩვენი დაპატიმრების, არამედ ასეთი დელეგაციის არსებობის შესახებ. ამის შემდგომი ამბავი თქვენ უკვე მოგახსენდათ პირველ ჩვენი განცხადებიდან. სასახლიდან ჩვენ საგანგებო კომისიაში წაგვიყვანეს. იქ გაგვიხსენეს. არ მოგვცეს ქართულად ლაპარაკის საშვალება და არც საანკეტო ფურცლების შევსების უფლება მოგვეცა საველმწიფო ენაზე. და საბუთად ის გვითხრეს, რომ აქ ქართველები არ არიანო. გარდა იმისა, რომ უცხო ენაზე ჩვენთვის სრულიად მიუღებელია საქმის წარმოება, ჩვენ გარდა სახელმწიფო-სამშობლო ენისა, არც კი ვიცით სხვა ენა. ჩვენ ვუპასუხეთ, ამ დაწესებულებაში თავმჯდომარეთ ქართველი ითვლება და ის გაიგებსს ჩვენს განცხადებასთქო და მასთან ერთად კომენდატს გადავეცით სახელმწიფო ენაზე დაწერილი განცხადება, მაგრამ ეს ქაღალდიც თავზედ გადაგვახიეს. ორი დღე და ღამე ჩვენ ვიყავით «ჩეკის» სარდაფში და შემდეგ გადმოგვიყვანეს მეტეხის ციხეში და გაცნობებთ, რომ დღესაც აქ ვიმყოფებით თქვენი პასუხის მოლოდინში.

ხელს აწერს დელეგაციის თავმჯდომარე **იასონ ჩაჩუა** და სხვები.

საპროტესტო გაფიცვა.

1 ნოემბერს მუშათა უბნებს განსაკუთრებითი მღელვარება ეტყობოდა, ყველგან დელეგაციაზე, რევკომზე და გაფიცვაზე ლაპარაკობდენ. 9 საათზე რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან გაისმა საყვირის ხმა რკინის-გზის რაიონში. ამის შემდეგ ყველა სადგურებში, სახელოსნოებში, დეპოში, ლიანდაგზე და საწყობებში მუშაობა შეწყდა და ყველა მთავარ სახელოსნოსკენ გაეშურა მიტინგზე. ერთ საათში აქ 10,000-ზე მეტმა მუშამ მოიყარა თავი. 10 საათზე მიტინგი გახსნა მუშა **ძაძამიამ**, რომელმაც განაცხადა: «ამხანაგებო, დღეს პირველი სახალხო მიტინგია საქართველოს დაპყრობის შემდეგ ნაძალადევის რკინის-გზის რევოლიუციონური მუშებისა. საბოლოოთ გამოირკვა, რომ ჩვენი დელეგაცია ციხეში ზის. რევკომმა მას უფლება აყარა. ჩვენი მოთხოვნილება აბუჩად აიგდო! დღეს ჩვენ ამის გამო ჩვენს სიტყვას ვამბობთ, საქვეყნოთ მსჯავრსა ვსდებთ და მოვითხოვთ დაუსრულებელ ძალადობის შეჩერებასო». ძაძამიას სიტყვის შემდეგ გაისმა ხმები: გაუმარჯოს დელეგაციას, ძირს მოძალადეებიო!

ამის შემდეგ ილაპარაკა კომუნისტმა ობოლაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ დელეგაციის დატყვევება ეხლა გავიგე პირველათ და თუ დააპატიმრეს ალბათ იმიტომ, რომ მენშევიკები არიანო. ამან ძლიერ ააღელვა მუშები და ობოლაძე აღარ ალაპარაკეს. კრებამ ერთხმათ მოითხოვა, რომ ელაპარაკა მუშა ბოლქვაძეს.

ტრიბუნაზე ავიდა სახელოსნოს მუშა ი. **ბოლქვაძე**, რომელმაც თქა; «ამხანაგებო, **თქვენ**

ეროვნული

იცით საქართველოს დაპყრობიდან უცხო ძალების შემოსვლის შემდეგ თუ როგორ დავკარგეთ ყოველგვარი თავისუფლება, ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული. აღარ არის ორგანიზაციების, არჩევნების, პიროვნების, კრების, სიტყვის, პრესის და ბინის თავისუფლება. საქართველოს დამოუკიდებლობა ფიქციათ აქციეს. მოსპეს ქართული ენა. ჩვენ, დღეს როდესაც განვიცდით მწვავე ნივთიერ გაჭირვებას, სამხედრო ბეგარის ქვეშ დაგვაყენეს. ყოველგვარი ღირსება აგვყარეს, ადგილებიდან გვითხოვენ ძველ და გამოცდილ მუშებს და დიდ ნაწილს ასახლებენ უცხოეთში. დღეს მთელი რკინის გზა უცხოელების ხელშია, რომელიც ნადგურდება და იღუპება. საქართველოს დამპყრობლებმა, რომ თვის მიზნები სწრაფად გაატარონ ცხოვრებაში, ქართველ მუშებს სდევნიან სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად. იმ დროს, როცა ყველა ჯურის რეაქციონერები თავისუფლად დასეირნობენ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაწილი განდევნილია სამღვაწეო ასპარეზიდან და მოწინავე მუშები და გლეხები კი ციხეებში უსაბუთოდ ისჯებიან. ჩვენ თფილისის მუშებმა, რომელთაც თვისი ისტორია გვაქვს, არ შეგვიძლია არ ვსთქვათ ხმა მაღლა, ის რაც მოხდა და ხდება. ამიტომ გავგზავნეთ ჩვენ დელეგაცია რევკომთან, რომ ჩვენი აზრი და წერილობითი განცხადება გადაეცა და ეცნობებია ქვეყნის მძიმე მდგომარეობა. რით გასცეს პასუხი ჩვენს დელეგაციას. ხუთი საათი აცდევინეს სასახლეში და ბოლოს დაატყვევეს... ჩვენ გვეგონა რევკომის თავმჯდომარე თავის მძიმე დანაშაულობას გამოასორებდა, მაგრამ 29 ოქტომბერს ოფიციალურათ უარი განაცხადა დელეგაციის დაპატიმრების შესახებ და მით ყალბი ცნობები მიაწოდა ხალხს. ამაზე შორს აღარ წავა ხალხის მასხარათ აგდება და მუშების უფლების ფეხს ქვეშ გათელვა... განა ამაზე მეტს რას უნდა მოველოდეთ ჩვენ რევკომისაგან?

24 ოქტომბერს მან ჩაიდინა უდიდესი დანაშაულობა მუშათა კლასის წინაშე და 29 ოქტომბერს, რომ თვისი შემცდარი ნაბიჯი დაემალა, ჩვენი და ქვეყნის მოტყუილება მოინდომა და ეს იმ დროს, როცა ჩვენს წარმომადგენლებს უდიერად მოეპყრენ, ყოველგვარი ღირსება აყარეს, გაჩხრიკეს, ციხეში დაამწყვდიეს...

რევკომი უარს აცხადებს დელეგაციის დატყვევებაზე, დელეგაცია კი ტყვეთ მეტეხშია.

ჩვენ დღეს ამის გამო ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ, დელეგაციის განთავისუფლებას მოვითხოვთ.

ჩვენ დღეს საჯაროდ ვაცხადებთ, რომ 24 ოქტომბერს რევკომმა ჩვენი დელეგაცია დაატყვევა, ამიტომ ჩვენი სამართლიანი მჯავრი დეე, ყველამ მოისმინოს».

ზოგიერთი კომუნისტები შეეცადენ ლაპარაკს, მაგრამ ამის ნება არ მისცეს. კრებამ მიიღო შემდეგი საპროტესტო რეზოლიუცია:

«თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, დეპოს, ლიანდაგის, მოძრაობის, საქონელის სადგურის, საწყობების მუშების მიტინგი, რომელსაც დაესწრო 10,000-ზე მეტი მუშა თავის აღშფოთებას გამოსთქვამს 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დატყვევების გამო. მიტინგი ერთხმად გმობს რევკომის ძალადობას, რომელიც გამოიხატა თფილისის პროლეტარიატზე სამარცხვინო თავდასხმით, სასტიკ პროტესტს აცხადებს მუშათა წარმომადგენლების ღირსების აყრისათვის, 29 ოქტომბერს რევკომის თავმჯდომარის ბ. ნდივანის ოფიციალური განცხადებისათვის და კომუნისტურ გაზეთში პროვოკაციულ წერილების მოთავსების გამო. მიტინგი მოითხოვს დელეგაციის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და ნიშნად დელეგაციის თანაგრძნობისა ერთი დღით გაფიცვას აცხადებს.

მიტინგის თავმჯდომარე **ალ. ძაძამია.**

მდივანი **თევზაძე.**»

ამის შემდეგ გამოაცხადეს გაფიცვა ერთი დღით და დაიშალენ.

ასევე მოხდა ნავთლუღ-კახეთის გზაზე. აქ მიტინგზე «ჩეკისტებმა» განიზრახეს თავმჯდომარისაკენ გაწევა, მაგრამ ხალხმა გააძევა ისინი.

არსენალის მუშები ეზოში მოამწყვდიეს. კარები ჩაუკეტეს. 2 საათზე იმპერიალისტი ლ ი ს ო ვ ს კ ი მოვიდა, რომ გავლენა მოეხდინა მუშებზე. მუშები დამწყვდეული იყვნენ საღამომდე.

ნავთლუღ-ავლაბრის, ორთაჭალის ქარხნებში მიტინგების შემდეგ მუშებმა მუშაობა ყველგან მიატოვეს. ეთავარ სადგურში კი მოძრაობა აღარ განახლებულა, აღარ გასულა ბაქოს, ერევნის, ბათომის მატარებლები. მთელი დღე გაიარა მღელვარებით მოცული. თფილისმა გამოიღვიძა, თფილისი გაცოცხდა. მუშათა კლასის მოულოდნელმა მოძრაობამ დაარღვია მართველ წრეების სიმშვიდე, მათი განწყობილება. დახურული სხდომები, ზომების შესახებ თავდარიგი ამ დღის თავ სატეხ საგნათ გაუხდა მათ. ზოგიერთ კომუნისტებში რყევა დაიწყო. ზოგიერთები აშკარად გაიძახოდენ: «დელეგაცია არ უნდა დაეპატიმრებია ბ. მდივანსო».

საღამო წყნარი ჩამოდგა. ქუჩებში ხალხი ნაკლებათ მოსჩანდა. რკინის გზებზე დილით გამზადებული მატარებლები უმოძრავოდ იდგენ. მგზავრები, გათიცვებზე, დელეგაციებზე, რევკომებზე ლაპარაკობდენ.

მუშების მემორანდუმი.

ღამით მართველ წრეებს, რევკომს საგანგებო სხდომა ქონდათ.

დელეგაციამ კი მეტეხის ციხიდან ამავე დღეს ოფიციალურად გადასცა საქართველოს რევკომს თფილისის მუშების შემდეგი განცხადება, რომელიც უნდა გადაეცა 24 ოქტომბერს.

«საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკს რევკომს განცხადება.

მიუხედავათ თქვენი საჯარო განცხადებისა, რომ დაცული იქნებოდა საქათველოს დამოუკიდებლობია ყველა არსებითი თვისებები,—და ქართველი ერის სუვერენული და ისტორიული უფლებები ყველა სახელმწიფოების და მათ შორის რუსეთის მიერაც აღიარებული, თან და თან, საქართველოს დაპყრობიდან და რევკომების ხელისუფლებების შემოღებიდან, ქართველი მშრომელი ხალხი, როგორც ეროვნულად, სოციალურად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, ისე კულტურულად დაიჩაგრა და იჩაგრება.

საქართველოს მიწა-წყალი, ქართველი ერის ტერიტორია დაქუცმაცდა და დაპრილია. მთელს აფხაზეთში სწარმოებს რუს-შავრაზმელთა შოვინისტური პოლიტიკა. იქ ადგილობრივი მშრომელი ხალხი ყოველგვარ საქმეებიდან განდევნილია. ქართველები კი განიცდიან უდიდეს ტანჯვას, ერიერვნულ დევნა შევიწროვებას. ბათომის ოლქი სავსებით ოსმალეთის სამხედრო და სასულიერო აგენტების ხელშია, საქართველოს განუყრელი ნაწილი საფრთხეშია ჩავარდნილი. ამ მხრით ერის ეკონომიური განვითარების საქმეს, მისი ტერიტორიის მთლიანობას უნუგეშო მომავალი ელის. ფაქტიურად აჭარა —ანგორის მთავრობის განკარგულებაშია. სამხრეთ-ოსეთში ოს-ნაციონალისტების ბარბაროსულ მოქმედებით ქართული სოფლები გაპარტახებულია. ცხინვალის რაიონში დიდი და პატარა ლიახვის, მეჯვრის-ხევის და სხვა სოფლებში გრძელდება ქართველი გლეხების მიმართ ძალადობა. ბორჩალოს მაზრის დიდი ნაწილი ფაქტიურად საქართველოს ჩამოაშორეს. საქართველოს ედა ქალაქის თფილისის კარებს სხვები დაეპატრონენ. მთელს ჯავახეთში ქართული სოფლები შევიწროვებულია. ქართველები განიცდიან ნაციონალურ დევნას, დამცირებას. ქართველი მშრომელი ხალხი სტოვებს იქ თავის მუდმივ კერას და შორდებიან მშობლიურ სოფლებს; სამაგიეროდ ჯავახეთის მდიდარ და შემოსა-ლიან მიწებს ინაწილებენ ოსმალეთიდან გადახვეწილი ლტოლვილები და სახლდებიან. აღნიშნულ მხარეებში პოლიტიკური ხელისუფლება არა ადგილობრივ მკვიდრთა ხელშია, არამედ უცხო გარეშე ელემენტები ბატონობენ, რომელნიც ღებულობენ დირექტივებს არა საქართველოს დღევანდელ მმართველებიდან, არამედ სულ სხვა მხრიდან. ზაქათალის ოლქი, რომელიც ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად შეკავშირებული იყო თფილისთან და ყარაიაზის რაიონი, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მეჯოგეებისათვის აუცილებელია — საქართველოს ჩამოშორდა, დღეს იქ ბატონობენ ყაზახის მაზრის რევკომები. უცხოელების შემოსევამ, ჩამოსახლებამ აფხაზეთის ოლქში, ჯავახეთში, ზაქათალა-კახეთში ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ცარიზმის ხანებშიაც არ ყოფილა ასეთი კოლონიზაცია და საქართველოს მიწა-წყლის დატაცება. ამ გვარად გაერთიანებული საქართველო მჭიდროდ შეკავშირებული და ეროვნულად განვითარებულ გზაზე დამდგარი—დღეს დაქუცმაცებულია, გაჩეხილია და მის თანამედროვე ტრაღიკულ აწმყოსთან ერთად მისი მომავალიც განსაცდელშია.

ქართველი მშრომელი ხალხის ტანჯვით დაგროვილი სიმდიდრე, ეროვნული ქონება, საარსებო სახსარი იღუპება. საქართველოს რკინის-გზის მუშების წვალებით, ოფლით შექმნილი, შექმნილი ვაგონები, ორთქმავალები თვის ქვეყნის საზღვრებს შორდებიან სამუდამოდ. რკინის-გზა დაიშალა, ტრანსპორტი გახადგურდა, მრეწველობა ეცემა, ქვეყანა პარტახდება.

ქართული ენა—ეს ერთად-ერთი უდიდესი იარაღი მშრომელ ხალხის განვითარებისა,—სახელმწიფოს, საზოგადოებრივ კულტურულ დაწესებულებებიდან განდევნილია, მიუხედავათ მისი სახელმწიფო ერად აღიარებისა.

პარტიების, კავშირების, არჩევნების, კრებების, სიტყვის, პრესის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხლებლობა მოსპობილია. ქართველ მშრომელ ხალხს წაერთვა ყოველივე საშვალება, რომ წერილობით ან სიტყვიერად, თავისუფლად გამოეთქვა თავის აზრი ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო კითხვებზე. აღარ არის საშვალება საჯაროთ გამოტანილ იქმნას ის ბოროტ-მოქმედება, რომელიც ხდება საქართველოში და მშრომელ ხალხს არა აქვს საშვალება მიუდგომელი კანტროლისა. საქართველოს მუშები, სამხედრო ბეგარის ქვეშ გამოცხადებულნი, მშიერ-მწყურვალნი მძიმე პირობებში ეწევიან მუშაობას. ვათი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება; მათ არა აქვთ საექიმო დახმარება და სურსათი. საქართველოს მუშათა კლასი და მისი მომავალი თაობა ფიზიკურად იღუპება.

საქართველოს უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეები, ძველი რევოლიუციონერები, მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გლეხები ციხეებში იტანჯებიან. და ეს იმ დროს, როდესაც ხალხის თვალწინ ხდება უაღრესი სპეკულიაცია და უდიდესი ბოროტ-მოქმედებები; მაშინ როცა ხალხის მტრები, შინაურ და უცხო სპეკულიანტები, მუქთა-მჭამელები და რეაქციონერები თავისუფლად დასეირნობენ, განსაკუთრებით იდევნება ქართველი მშრომელი ხალხი და თანამედროვე დევნამ მიიღო ეროვნული ხასიათი, რომლის მსგავსი ჩვენი ქვეყნის საშვალო საუკუნის ისტორიაშიდაც არ მომხდარა.

საქართველოს სავაჭრო კომისარიატი, ეკონომიური პოლიტიკა, სამეურნეო საქმეები რუსეთის საერთო ცენტრს დაუმორჩილეს, საქართველოს რკინის-გზა რუსეთის რკინის-გზას შეუერთეს. რომ გაგრძელებულ იქნას იმპერიალისტური და დაპყრობითი პოლიტიკა, რომ შემოსულ ძალას საშვალება მიეცეს მილიტარულად ჩვენს ქვეყანაში გამაგრებისა, ამიტომ ადგილობრივი ქართული ლაშქარი ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ ფაქტიურად მოსპობილია.

ქართველი მშრომელი ელემენტები იდევნებიან თავისივე ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებიდან: სამრეწველო დარგებიდან, საპასუხისმგებლო ადგილებიდან. ამავე დროს რესპუბლიკის დაწესებულებები გაივსო ჩამოსულ ელემენტებით, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ არას დროს მუშათა გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, და რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან ერის მშრომელ ნაწილს და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღმშენებლობითი საქმეში აშკარა საბოტაჟს ეწევიან, ქვეყნის წინაშე დიდ დანაშაულობას სჩადიან.

საგანგებო კომისიების მართლ-მსაჯულებამ პირდაპირ შურის-ძიების ხასიათი მიიღო. დახვრიტეს ისეთი ადამიანები, რომელნიც სამშობლოს დაცვაში მონაწილეობას იღებდენ, სახელმწიფო კანონების მოვალეობას ასრულებდენ და არას დროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ პოლიტიკურ მოძრაობაში.

უჩვეული რეპრესიების საშვალებით, მუშების დევნა, მასიურად დაპატიმრების, არჩევნებზე შეიარაღებულ თავდასხმით, არჩევნების დაშლის, მუშების დათხოვნა-გადასახლების შემდეგ გაიმართა საქართველოს მუშების სახელით მთელი რიგი ყრილობები კავშირების, სადაც საქართველოს მშრომელი ხალხის ნების დაუკითხავად გამოტანილ იქნა დადგენილებანი ჩვენი ერის, მუშათა კლასის ინტერესების საწინააღმდეგოთ მიმართული.

ბინების საკითხის ირგვლივ მუშების სახელით თფილისში ხდება წარმოუდგენელი ძალადობა, უსამართლობა, თვითნებობა, რამოდენიმე წლობით ბინებში ჩასახლებულ ადგილობრივ მცხოვრებთ ქუჩებში ყრიან უბინაოდ და მათ ადგილზე ბინავდებიან სრულიად საეჭვო ელემენტები და ისეთები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ მუშებთან, მხოლოდ ჩამოსული არიან სხვა და სხვა მიზნებისათვის და სპეკულიაციებისათვის. შექმნილ პირობებით ქუჩაში რჩებიან უბინაოდ მშრომელი ელემენტები და ეს იმ დროს, როდესაც სპეკულიანტების, უცხო და გავლენიან პირების ბინები ხელუხლებელი არიან.

განსაკუთრებული და არა ჩვეულებრივი პირობები რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებისათვის ამ ბოლო ხანებში უცნაურ რეპრესიების სახეს იღებენ.

რკინის-გზის გაერთიანებიდან საქართველოს ფორმალურმა მართველმა რევკომმა დაჰკარგა ყოველივე ეროვნული და პოლიტიკური გავლენა რკინის-გზაზე, რის შემდეგ დაიწყო ქართველი მუშების მასიური დევნა. რკინის-გზის მილიცია, საგანგებო კომისია, მთელი ბმართველობა რუსეთის ცენტრს დაუმორჩილეს. თან და თანობით განდევნეს მოწინავე მუშები, საქმის მცოდნე ელემენტები და სპეციალისტები ადგილებიდან. მთელი რიგი მუშათა ჯგუფისა თან და თანობით გადაასახლეს ადერბეიჯანის, სომხეთის და როსტოვის რკინის-გზებზე. ათ ოქტომბრამდე მივლინების სახით საქართველოს გზას მოაშორეს 1,400-ზე მეტი მუშა-მოხელე-სპეციალისტი. მრავალი ოჯახები დარჩნენ უპატრონოდ. უკანასკნელ ხანებში შტატის შემცირების სახელწოდებით ითხოვენ ძველ და გამოცდილ მუშებს არა ათობით, არამედ ასობით ერეკებიან ადგილებიდან. სამაგიეროდ ქართველ მუშების ადგილს იჭერენ რუსეთიდან გამოგზავნილი პირები. ქართველ მუშების დევნამ ყოველივე საზღვარი დაჰკარგა. საქართველოს მუშათა კლასი გრძნობს უპატრონობას. მირონოვის იმპერიალისტური და ანტიქართველური განზრახვები სისრულეში მოდის. საქართველოს მუშების, ამ ქართველი ერის მთავარი ძარღვის განადგურების პროცესში უკვე კატასტროფას უახლოვდება. უკანასკნელ დღეების ბრძანებით რუსეთიდან მოჰყავთ რკინის-გზებზე არა ასობით, არამედ ათასობით მუშები, მოხელეები, შემუშავებულია მთელი რიგი წესების ქართველ მუშების განსადევნად და უცხოეთის რკინის-გზებზე გადასასახლებლად. ამ უკანასკნელი დღეების ძალადობა მეტად უხეშ სახეს ღებულობს, რაც ფრიად დამაფიქრებელი და საბედისწეროა ქართველი ერისათვის, მუშათა კლასის მერმისისათვის.

ყოველივე ის, რაც თანამედროვე საქართველოში ხდება გამოურკვეულია ქართველ ხალხისათვის, თუ საიდან, რომელი ხელისუფლების წყაროდან გამომდინარეობს — საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევკომიდან, თუ საიდუმლოდ მოვლენილ და ჩვენი ხალხის მიერ სრულებით უცნობ ამიერ კავკასიის კავბიუროდან.

მაზრები და სოფლები სრულიად უპატრონოდ არიან მიტოვებულნი, სადაც დაწყებული თვითნებობა და ძალადობა თან და თანობით ფართოვდება, საშინელ პროვოკაციების ხასიათს ღებულობენ და რუსის ჯარი ეკზეკუციების სახით განაგრძობს დამშეულ, დარბეულ ხალხის რბევას,—კახეთში, დუშეთში, გურიაში, ქუთაისის მაზრაში და სხვაგან.—

თანამედროვე საშინელ და საბედისწერო პირობებში, თფილისის მუშები დამნაშავენი ვიქნებით ერის და ისტორიის წინაშე, რომ ერთხელ კიდევ ჩვენი ხმა არ ავიმაღლოთ და არ გამცნოთ თქვენ ქართველი ერის თანამედროვე მძიმე მდგომარეობა. ამიტომ, გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს საქართველოს რევკომს ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ:

1) აღდგენილ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა და დაცული იქმნას მისი სუვერენობა, ყველას მიერ საქვეყნოდ აღიარებული ისტორიული უფლება და ენა.

2) აღდგენილ იქნეს ქართველი ლაშქრის შელახული უფლებები, საშვალება მიეცეს მას გამტკიცებისა და გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარები.

3) აღდგენილ იქნას მუშათა ორგანიზაციების, კავშირების, არჩევნების, კრების, პრესის, სიტყვის თავისუფლებანი და პიროვნების ხელუხლებლობა.—

4) დაუყონებლივ შეჩერებულ იქმნას საქართველოს მუშების დათხოვნა ადგილებიდან, გადასახლება უცხოეთში და სასწრაფო ზომები იქნას მიღებული უცხო მოხელეების შემოსევის წინააღმდეგ.

5) დაუყონებლივ მიღებულ იქნას ზომები მუშების და მათი ოჯახების ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

6) შეჩერებულ იქნას სოფლებში დამსჯელ ეკზეკუციების მოქმედება და

7) განთავისუფლებული იქნან პოლიტიკური დევნილები და ტუსაღები, რომელნიც განიცდიან სრულიად უსაბუთო დევნას და ტანჯვას.

ამ განცხადებას ხელს აწერენ თფილისის მთავარ სახელოსნოს, დეპოს, მოძრაობის, ლიანდაგის, სადგურების, კახეთის რკინის-გზის, არსენალის, ტრამვაის, ავლაბარ-ორთაჭალის სამრეწველო დარგების მუშები, რიცხვით ხუთი ათას ას ოცდა თორმეტი (5132) მუშა.

თფილ. მუშათა დელ. თავმჯდ. **იასონ ჩაჩუა.**

წევრები: პეტრე ხარაძე, ლეონტი თომაძე, ვასილი ოსიძე, იაკოფ ასიტოვი, იოსებ ავალიძე, ნიკოლოზ გოგინაშვილი, იასონ კახაბრიშვილი და ანდრო თოდუა.

სტუდენტების გამოსვლა.

მუშათა პროტესტებს ქართველი სტუდენტებიც შეუერთდენ. ამავე საღამოს გაიმართა თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა სასწრაფო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2.000-ზე მეტი. მიტინგმა მოისმინა სტუდენტ ჯანელიძის განცხადება 24 ოქტომბრის და პირველ ნოემბრის ამბების შესახებ. ამ ცნობის შემდეგ წაკითხულ იქნა თფილისის მუშების განცხადების შინაარსი.

მიტინგი გადაიქცა საპროტესტო დემონსტრაციად. შეასრულეს ეროვნული ჰიმნი «დიდება» და მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია რევკომთან გასაგზავნათ:

«მოისმინა რა განცხადება 24 ოქტომბერს რევკომის მიერ თფილისის მუშათა კლასის დელეგაციის დაპატიმრების შესახებ,—თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა:

1. საესებით უერთდება თფილისის პროლეტარიატის მოთხოვნილებებს — საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებისა და მის ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, კრების, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართულ ლაშქრის უფლებათა აღდგენისა და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონად აცხადებს, რომ იგი მუდამ მზათაა მთელი თავისი ძალ-ღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნილებები;

2. სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეშ ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატა რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის თავმჯდომარის ბ. მდივნის 29 ოქტომბრის უტიარ განცხადების გამო, თითქოს დელეგაცია არავის დაეპატიმრებიოს.

3. კრება ღრმა თანაგრძნობასა და სრულ სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგებს—მუშათა დელეგაციას და 4. მოითხოვს მის დაუყონებლივ განთავისუფლებას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს.
გაუმარჯოს პროლეტარიატს.
გაუმარჯოს მუშათა დელეგაციას.

ეს დადგენილება საჩქაროდ გადაეცეს რევკომის თავმჯდომარეს.

კრებას დაესწრო 2,000-ზე მეტი კაცი, დადგენილება მიღებულ იქმნა ერთხმად.

თავმჯდომარე ხეცურიანი.
მდივანი შარაძე.

n 127/6

ეროვნული

კომუნისტების ამუშავება.

3 და 4 ნოემბ. კომუნისტებმა მთელი თავისი ძალები ფეხსე დააყენეს, გაზეთებმა ისევ პროვოკაციას მიჭვეს ხელი, ხოლო ჩეკისტებმა იწყეს მოწინავე მუშების ჭერა. დაატუსაღეს 300 კაცი. ამავე დროს მათ დაიწყეს ძალათ თითოოროლა მუშის შეგროვება და მომხდარ გაფიცვის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუციების გამოტანა. მთავარ სახელოსნოსა და დეპოში ბ-ნი ბუდუ მდივანი თვითონ გამოცხადდა და შემდეგი სიტყვებით დაემუქრა მუშებს: «ეხლა პოლიტიკური ბრძოლაა, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ არავისი გვეშინია, დელეგაცია და პროტესტები მიუღებელია, ამას შესაფერ პასუხს გავსცემთ, ჩვენ გაფრთხილებთ მეტი არ გაბედოთ; აქ არც რეზოლიუციის შემოტანის ნებას მოგცემთ და არც კენჭის ყრისას. ჩვენ ჩვენი რეზოლიუცია გვაქვს და როგორც გვინდა ისე მოვიქცევითო».

მდივნის წინააღმდეგ მაინც ილაპარაკა რამდენიმე მუშამ, რომლებმაც განაცხადეს: ჩვენ პირველ ნოემბერს მივიღეთ რეზოლიუცია და მეტს არც ვარდგენთ და არც ვიღებთო. ამის შემდეგ მუშებმა კრება დასტოვეს.

გარდა ამისა 3 ნოემბერს, საღამოს კომუნისტებმა საჩქაროთ მოიწვიეს თფილისის ყველა ქარხნებისა და დაწესებულებების პროფ. საბჭოების გამგეობების და პლენუმის სხდომა, სადაც წევრების უმეტესობა ან დანიშნული არიან, ანდა ძალით არჩეული კომუნისტების მიერ. კრებაზე მოხსენება გააკეთეს შრომის კომის. დუმბაძემ და კომპარტიის ცეკის პასუხისმგებელმა მდივანმა ბ. ორახელაშვილმა. მათ უტიფრათ დაიწყეს კიდევ მტკიცება, რომ რევკომს მუშათა დელეგაცია არ დაუტუსაღებიაო. მათ პასუხი გასცა პლენუმის წევრმა კახიანმა. მან სთქვა: «24 ოქტ. სასახლეში დაატუს ღეს მუშათა დელეგაცია და ამის შესახებ თვით დელეგაციამ ამცნო რევკომის თავმჯდომარეს, ხოლო თფილისის მუშათა კლასმა 1 ნოემბრის გაფიცვით გასცა პასუხი და ამით მ ნ თავისი განაჩენი სთქვაო». კახიანის განცხადებამ კომუნისტებში აურზაური გამოიწვია. «სხი